CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია
1 ლ 70 თ

# რატომ გატეხეს ჰაკერებმა პარლამენტის ვებგვერდი?



N36 2966/ 11 მარტი 2014 წ PRESS ფასი 70 თ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## რით ემუქრება აშშ-დან დაბრუნებული ნათელაშვილი ივანიშვილს?



## უახლოეს დღეებში თეა წულუკიანს თანამდებობიდან გადააყენებენ?



## ნატო უკრაინის ნაპირებთან წვრთნებს იწყებს

### რუსეთი ატომური ბომბით იმუქრება



## რა ცვლილება შედის საგადასახადო კოდექსში?



## რა ტაქტიკით აპირებს არასაპარლამენტო ოპოზიცია არჩევნებში გამარჯვებას?



## რატომ არის „ალია“ და „ქრონიკა“ „ოცნების“ ხელისუფლებისთვის ჯერ ჟურნალი, შევარდნაძის და „ნაცებისთვის“ კი უკვე მრავალსერიიანი დოკუმენტური კინო?



## ათონელმა ბერებმა პუტინი და პატრიარქი კირილი ანათემას გადასცეს



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მსოფლიო საეკლესიო კრება 2016 წელს გაიმართება



მოსკოვის საპატრიარქოს პრესმდივნის, მიტროპოლიტ ილარიონის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მართლმადიდებელი ეკლესიების პატრიარქების შეხვედრაზე იქნა მიღებული.

სტამბულში გამართულ სხდომას 13 მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია ესწრებოდა: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ელადის, ალბანეთისა და პოლონეთის.

„მსოფლიო საეკლესიო კრების მომზადება 50 წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. ბევრჯერ მზადება შეწყდა, თუმცა ახლა საბოლოოდ გადაწყდა, რომ კრება გაიმართება და თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ის 2016 წელს გაიმართება“, – განაცხადა მიტროპოლიტმა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო საეკლესიო კრება – უმაღლესი ქრისტიანული სამღვდელოების კრებაა, რომელზეც უმნიშვნელოვანესი საეკლესიო საკითხები წყდება, აწესებენ სარწმუნოებისა და კულტის ნორმებს, ასწორებენ ან ადგენენ ახალ წესებს, აფასებენ ან უარყოფენ სხვადასხვა კონცეფციებს, განსაზღვრავენ ერესებთან ბრძოლის მეთოდებს, ამტკიცებენ დოგმებს და იღებენ ეკლესიის გაძლიერების ღონისძიებებს. (ფრონტნიუსი)

## ქართულმა მხარემ ჟენევაში საჰაერო სივრცის დარღვევა გააპროტესტა

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში, საქართველოს წარმომადგენლებსა და მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებს შორის გამართული შეხვედრისას, ქართულმა მხარემ საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებთან და მავთულხლართების გავლების განახლებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატა.

„ქართულმა მხარემ გამოთქვა შეშფოთება უკანასკნელ პერიოდში რუსული სამხედრო ვერტმფრენების მიერ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებადი საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებსა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის ჯარის მიერ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების გავლების განახლებასთან დაკავშირებით. ხაზი გაესვა ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული მდგომარეობის მონიტორინგის მნიშვნელობას“, – ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## აქციის მონაწილეები კალაძის მოადგილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ



ხულოს რაიონის ხუთი სოფლის – ღურტას, დიდაჭარის, დიაკონიძეების, გელაძეებისა და პაქსაძეების მოსახლეობა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ილია ელოშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

მოსახლეობის თქმით, ელოშვილმა მოსახლეობის ინტერესებზე წინ საკუთარი თავი დააყენა და 8 მარტს აქციის მონაწილეებს ღირსება შეულახა: „ხუთი სოფლის მოსახლეობა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს, ღირსების შელახვის გამო, ამოსვლას და ბოდიშის მოხდას ვთხოვთ. ილია ელოშვილი ამბობდა, რომ უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინტერესი, ვიდრე მოსახლეობის მოთხოვნა. ჩვენც ვითვალისწინებთ სახელმწიფო ინტერესს, მაგრამ სახელმწიფო მოხელისგან ღირსების შელახვასა და ჩვენი ინტერესების უგულებელყოფას არ ავიტანთ. დაახლოებით, 500 ადამიანი ვართ აქციაზე, სამართალდამცველები მცირე რაოდენობით არიან. პოლიციელებსა და აქციის მონაწილეებს ერთმანეთთან შეხება არ გვაქვს. აქცია ორგანიზებულია და პროვოკაციის მოწყობას ვერავინ შეძლებს“, – აღნიშნა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

ორი დღის წინ დაპირისპირება მოსახლეობასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის გვირაბის მშენებლობის ტერიტორიაზე მძიმე ტექნიკის შეყვანამ გამოიწვია. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილსა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძეს მოსახლეობამ ტერიტორიის დათვალიერების საშუალება არ მისცა, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა. 8 მარტს, გვიან ღამით, ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მოსახლეობას შორის დიალოგი შედგა, რომელიც შეთანხმებით დასრულდა. ხელისუფლებამ ზარალის შემთხვევაში პასუხისმგებლობა იტვირთა და მოსახლეობას ხელშეკრულებების გაფორმებას დაჰპირდა. გვირაბის სამშენებლო სამუშაოები პოლიციის მეთვალყურეობით მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# მურმან დუმბაძეზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა



ამ დღეებში ბათუმელი მერაბ ღოლობერიძე, მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს“ წევრი, „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე „მოსთქვამდა“, დეპუტატ მურმან დუმბაძის ვაჟი ცემით მემუქრება, მიშველეთ რამეო. ერთი-ორმა კი დაუკომენტარა: მერაბ, შენთან ვართ, ნუ გეშინიაო, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერავინ უშველა... 10 მარტს მურმან დუმბაძემ საკუთარ ვაჟს დაასწრო და მერაბ ღოლობერიძეს ქუჩაში თავად დაესხა თავს. თვითმხილველების თქმით: მურმან დუმბაძე „ესკორტის“ თანხლებით ბათუმის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მიდიოდა, უცებ ღოლობერიძე დაინახა, თავის ძმასთან, ნუგზარ დუმბაძესთან ერთად მანქანიდან გადმოხტა და მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. როგორც ღოლობერიძე ამბობს, პარლამენტარი და მისი ძმა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასაც ცდილობდნენ. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ამ ფაქტზე მოკვლევას აწარმოებს სახალხო დამცველის აპარატი და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ასევე, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტის, ემზარ დიასამიძის თქმით, ის მერაბ ღოლობერიძეს ქუჩაში ესაუბრებოდა, ამ დროს მურმან დუმბაძემ ავტომობილი გააჩერა და სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა.

თავად მურმან დუმბაძე ტელეფონზე არ პასუხობს. მისი ერთადერთი კომენტარი ამ ფაქტთან დაკავშირებით, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში გავიდა:

„ბოლო 5-6 თვის განმავლობაში ღოლობერიძე ჩემი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას ხელს უშლის. სადაც ვმუშაობ, შეუძლია მოვიდეს, კვერცხი ისროლოს და წავიდეს. მე ვერ მიბედავს ვერაფერს, როცა მე ვარ, გარბის. პოლიციას, პროკურატურას, საგამოძიებო სამსახურებს მივმართე, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება ვერ ხერხდება. ჩემს ძმას გადაეყარა, მეც იქ ვიყავი. თანამდებობის პირი ვარ და რამდენ ხანს ვუთმინო? ჩემი მოსაზრებაა, თუ კაცი დედას შეგაგინებს, პასუხი უნდა გაეცეს, უნდა იცემოს!“

მართალია მურმან დუმბაძე, თუ კაცი დედას შეგაგინებს, უნდა იცემოს და იღლიაში ძირმაგარაც უნდა გამოუვიდეს, მაგრამ თანამდებობის პირს რომ თმენის ვალდებულება აქვს, ამას რა ვუყოთ? ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეში მისი მთელი სანათესაო არ უნდა ჩართულიყო. მეტიც, როგორც მერაბ ღოლობერიძე აცხადებს „ალიასთან“ საუბარში, როცა ის და მურმან დუმბაძე თანამებრძოლები იყვნენ, მაშინ რატომ არ იყო ავადმყოფი და ჭკუიდან გადასული? რაღა დაგიმალოთ და... სანამ ღოლობერიძეს დაველაპარაკებოდი, რატომღაც ვფიქრობდი, რომ ისინი ოდესღაც ძმაკაცები უნდა ყოფილიყვნენ:

– მე 2004 წლიდან 2007 წლამდე გახლდით „რესპუბლიკური პარტიის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი. მურმან დუმბაძისთვის ავადმყოფი და არადემოკრატი გავხდი ერთი გარკვეული მიზეზის გამო – როცა ის ვიცე-სპიკერი გახდა, მეც მხარს ვუჭერდი და აჭარის მოსახლეობაც, მე პირადად ვიყავი ჩართული და წარვადგინე მისი კანდიდატურა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე. მაშინ რატომღაც ჩემ მიმართ პრეტენზიები არ ჰქონდა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ავადმყოფი ვარ. როდესაც დუმბაძემ მეჩეთის მშენებლობას მხარი დაუჭირა, მაშინ მეჩეთის მაკეტი ავუტანე თავის სამსართულიან სახლთან და ვუთხარი, ბათუმის ცენტრში კი არ უნდა აშენდეს, საკუთარი სახლი დაუთმეთ თურქებს-მეთქი. ამის შემდეგ იყო ფაქტი, რომ დუმბაძე არ ასაჯაროებდა თავისი ბიუროს თანხებს. ჩვენ გვაინტერესებდა, რაში უხდიან მას ბიუროს შენახვისთვის ყოველთვიურად 2 ათას ლარს. მე მივწერე წერილი, მაგრამ ფეხებზე დამიკიდა.

**— დუმბაძე ამბობს, ღოლობერიძე სადაც დამინახავს, კვერცხებს მესვრისო.**

– დიახაც, მე დავუშინე კვერცხები, იმიტომ რომ ღირსი იყო. მაგას ვინც ხედავს, ყველა პირში აფურთხებს. იმალება, დაცვით დადის, ქალაქში თავისუფლად ვერ მოძრაობს. მერე იყო ასეთი ფაქტი... ეგ ხშირად ჩადიოდა პრემიერ-მინისტრთან, ბიძინა ივანიშვილთან და ეუბნებოდა, მერაბ ღოლობერიძე არჩილ ხაბაძის კაცია, ამიტომ მაგინებს, ხაბაძეს რატომ არ სთხოვ პასუხსო? არადა, მე არ ვარ „ქართული ოცნების“ წევრი. მე გავაფრთხილე დუმბაძე ჩვენი მეგობრების საშუალებით, ნუ მეხები-მეთქი, მაგრამ მან ისევ განაგრძო თავისი არაკაცობა და ახლა ირაკლი ღარიბაშვილთან დაიწყო ენების მიტანა და ჩემი მოხსენიება უცენზურო სიტყვებით. ამის შემდეგ დამიკავშირდა მისი შვილი, ძველ ბიჭებთან ერთად აპირებდა ჩემთან შეხვედრას, საქმის გარჩევას და მემუქრებოდა, გაგანადგურებო. ასევე, მემუქრებოდა მურმან დუმბაძის მძღოლი, ამირან ცეცხლაძე, აჭარის მთავრობის სახლის წინ შემხვდა და დაიწყო მუქარა. 9 მარტს, საღამოს 10 საათზე დამიკავშირდა ვიღაც გიორგი გიორგაძე, ისიც დამემუქრა, პატიოსან დუმბაძეს ნუ ანერვიულებო. დაგჩეხავ, საერთოდ მოგსპობო. მე დავუკავშირდი საპატრულო პოლიციას და მაშინვე დაიწყო გამოძიება. რაც დუმბაძემ 10 მარტს გააკეთა, მაგაზე აღარ გავაგრძელებ, უკვე იცით.



მერაბ ღოლობერიძე

**— სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ნამდვილად?**

– დიახ, აღიძრა და დადგინდა ვინმე გიორგი გიორგაძის ვინაობაც, რომელიც არის არაერთგზის ნასამართლები, ნარკოტიკების მომხმარებელი. როცა დუმბაძემ მანქანის „ბარდაჩოკიდან“ იარაღი ამოიღო, ამ დროს მოვიდა ვიღაც ვერცხლისფერი მანქანით. ჩემი აზრით, მთავრობის წარმომადგენელი იყო და იმან განმუხტა სიტუაცია. დიახ, გამოძიება მიმდინარეობს და აღმოჩნდა, რომ ის იარაღი მურმან დუმბაძეზე არ არის გაფორმებული. მე მას ვურჩევ, თავი დაანებოს ქურდებთან სიარულს და მუქარას, ძველი ბიჭებით ვერ შემაშინებს. მე იარაღით არასოდეს დავდივარ, მაგრამ ახლა ისე იმუქრება, იძულებული ვარ, ცივი იარაღი ვატარო **(რედ: თავდაცვის მიზნით ცივ იარაღზე ბევრად ეფექტური არსებული კანონმდებლობის დაურღვევლად ე.წ. გაზის იარაღია).** სხვა გზა არ მაქვს, ეგ ადამიანი ყველაფრის უფლებას აძლევს საკუთარ თავს, მემუქრება პროკურატურით, მემუქრება პოლიციით, ვერ გავიგე, ეგ აჭარაში პროკურორიც არის და პოლიციის უფროსიც? დადის და ლაპარაკობს, მერაბ ღოლობერიძეს ყურს მოვაჭრი და დედამისს მივუტანო...

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ობამამ ღარიბაშვილს წერილი გამოუგზავნა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასგან ჰააგის ბირთვული უსაფრთხოების სამიტთან დაკავშირებით წერილი მიიღო. პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, წერილში აშშ-ის პრეზიდენტი ხაზს უსვამს ბირთვული უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთან წარმატებულ თანამშრომლობას და იმედს გამოთქვამს, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ჰააგაში, ბირთვული უსაფრთხოების მესამე სამიტის ფარგლებში შეხვდება.

„მოუთმენლად ველი ამ სამიტსა და ჩვენი მასპინძლების მიერ შემუშავებულ ინტერაქტიულ პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობას. ვიმედოვნებ, რომ შეგხვდებით ამ სამიტის ფარგლებში. 2010 წელს ვაშინგტონსა და 2012 წელს სეულში გამართული ისტორიული მნიშვნელობის შეხვედრების შემდეგ ჩვენ გადავდგით იმედისმომცემი ნაბიჯები მთელ მსოფლიოში ბირთვული მასალების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ინდივიდუალური და ერთობლივი შესაძლებლობების განსამტკიცებლად. ამასთანავე, ჩვენ თითქმის ყოველდღიურად გვახსენებენ, რომ ტერორიზმის საშიშროება რეალურია და ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ, რათა თავიდან ავიცილოთ ბირთვული ტერორიზმის გლობალური კატასტროფა. ჩვენი თანამშრომლობის შედეგად, 2014 წლის სამიტი წარმატებული იქნება და ჩვენ უკეთ დავიცავთ ადამიანებს მთელ მსოფლიოში ბირთვული ტერორიზმისგან“, – ნათქვამია წერილში.

ბირთვული უსაფრთხოების მესამე სამიტი ჰააგაში 23-25 მარტს გაიმართება. სამიტზე მიწვეული არიან 53 სახელმწიფოს პირველი პირები და მთავრობის მეთაურები, ასევე ოთხი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ბირთვული უსაფრთხოების სამიტს 5 000-ზე მეტი დელეგატი ჰყავს, მათ შორის აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი, საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, ასევე ევროპის საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი და ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზო. სამიტში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

## დაჭრილი ქართველი სამხედროები რეაბილიტაციას აშშ-ში გადიან

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს მთავრობისა და უშუალოდ, პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერით, თავდაცვის უწყება 2008 წლის აგვისტოს ომსა და „აისაფის“ მისიაში დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს მკურნალობის კურსის გასავლელად აშშ-ში, სან დიეგოს კლინიკაში აგზავნის.

ამ ეტაპზე, პიტერ ჰარშის საპროთეზო კლინიკაში რეაბილიტაციის კურსს 8 ქართველი სამხედრო მოსამსახურე გადის. დაშავებულ სამხედროებს მექანიკურ პროთეზებს ბიო-მიკრო პროცესიანი პროთეზით უცვლიან. ამჟამად ისინი ახალი პროთეზების მორგებისა და შეგუებისთვის შესაბამის ვარჯიშებს გადიან და ახალი კიდურების მოხმარების წესებს ეუფლებიან.

უახლესი თაობის ელექტროპროთეზი სამხედროებს რთულ რელიეფზე გადაადგილებას გაუადვილებს. ექსტრემალური პირობების გამძლე ახალი პროთეზი ჯარისკაცებს მეტი აქტიურობის საშუალებას მისცემს. სამხედროების რეაბილიტაციის კურსს აშშ-ში ქართველი სამხედრო ექიმი, მაიორი ზვიად ბურძგლა ზედამხედველობს.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ყველა ჯარისკაცი საკუთარ ქვედანაყოფს დაუბრუნდება და შეიარაღებულ ძალებში გააგრძელებს სამსახურს. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge
ალია



# რა ტაქტიკით აპირებს არასაპარლამენტო ოპოზიცია არჩევნებში გამარჯვებას?

ხელისუფლების „წამორტყმები“ ქართულ პოლიტიკაში. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა ის, რომ „ქართული ოცნება“ ქალაქის მერად დავით ნარმანიას ასახელებს. კაცი თბილისელია თუ არათბილისელი, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, არ იყო გოიმი. გოიმი ებრაული სიტყვაა და ნიშნავს: გაუგებარს, ბანძს, ძველმოდურს, ჩამორჩენილს... მთავარია, რომ ქართველმა ხალხმა ქალაქის მერის პოსტზე გოიმი არ აირჩიოს...

გადაცემა „პანორამაში“ გავიდა სიუჟეტი დავით ნარმანიაზე: „გზა სოფელ კოკიდან დედაქალაქში“... სიუჟეტიდან შევიტყვეთ, რომ ნარმანიას დედის საყვარელი პოლიტიკოსები არიან: დავით ბაქრაძე, ლევან ბეჟაშვილი, გიგი უგულავა, გიგი წერეთელი... მოკლედ, ნარმანიას დედა, ქალბატონი ნორა შეყვარებულია „ნაციონალებზე“... მათგან მხოლოდ ერთი ადამიანი აღიზიანებს, ეს არის გიორგი ვაშაძე, მისი შვილის „ნაციონალი“ კონკურენტი. ამ ქალბატონს სხვა „პროგრესული“ იდეებიც აქვს. მაგალითად, ის, რომ თუ თბილისელებს ასე აღიზიანებთ არათბილისელი, გამოაცხადოს თბილისმა დამოუკიდებლობა და იქცეს ვატიკანად და ასე, გვეცოდინება, რომ თბილისი არის დამოუკიდებელი ტერიტორიაო... ამ ქალბატონმა ასევე მიმოიხილა საქართველოს უახლესი ისტორია და განაცხადა, რომ აფხაზეთი თბილისელების გამო დავკარგეთო... ნარმანიას დედა ასევე იხსენებს იმ ტკბილ წარსულს, როგორ დადიოდა წელიწადში ორჯერ მოსკოვში და როგორ ჩამოჰქონდა პატარა დათუნასთვის იმპორტული ტანსაცმელი და ტკბილეული. რაც მთავარია, ნარმანიას მეუღლემ ამბიციურად განაცხადა, – არჩევნები რომც არ ჩატარდეს, ჩემი ქმარი მერი ისედაც გახდებაო. აბა, რა გითხრათ ქართველებო, ან თბილისელებო, ერთადერთი რაც შემეძლო, გადავშალე ლექსიკონი და გოიმის განმარტება წავიკითხე... დანარჩენი, თქვენთვის მომინდვია... ამ ქვეყანაში რამეს რომ მიაღწიო, ან ხელიდან წასული უნდა იყოს, ან – ქვეყნიდან, ან ისეთი გოიმი, რომ მუხრუჭები არ გიჭერდეს...

ახლა ვნახოთ არასაპარლამენტო ოპოზიცია რამდენად სამართლიანად იბრძვის ამ ომში და რა განცხადებას ავრცელებს საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით.

გასულ კვირას, „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კოდექსი მიიღო, რაც მთლიანად მოარგო საკუთარ პარტიულ ინტერესებს. კოდექსის პროექტი ექსპერტიზისთვის არ გაგზავნილა ვენეციის კომისიაში და მიღებულ დოკუმენტში გათვალისწინებული არ არის ვენეციისა და ეუთოს არც ერთი პრინციპული რეკომენდაცია. შესაბამისად, ახალ საარჩევნო კოდექსს არაფერი აქვს საერთო ევროპულ სტანდარტებთან. ხელისუფლებამ უარი არ თქვა ოპოზიციის მოთხოვნის შესრულებაზე.

**„ქართული დასის“ ლიდერი — ჯონდი ბაღათურია, „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

– „ქართულმა ოცნებამ“ კბილებით დაიცვა ხათუნა გოგორიშვილის ავტორობით დაწერილი ის რეპრესიული საარჩევნო კოდექსი, რომელსაც ჩვენ ადრე, ერთად ვაკრიტიკებდით. ყველაფერი გააკეთა, რომ სრულიად, უცვლელად შეენარჩუნებინა. რეალურად, არჩევნებში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა, გარდა იმისა, რომ დაწესდა 50%-იანი ბარიერი. როგორც ჩანს, „ქართულმა ოცნებამ“ თავი კომფორტულად იგრძნო ამ კოდექსით, რადგან ეს იძლევა საშუალებას, შეინარჩუნო ძალაუფლება რეიტინგის გარეშე ისე, რომ საქმე არ გააკეთო.

**— ოპოზიციის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ ძალაში რჩება ამომრჩეველთა იგივე სია. მმართველი ძალა უპრეცედენტო მონოპოლიას ფლობს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე, კომისიის 13 წევრიდან 12 „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია და ერთი — „ნაციონალური მოძრაობის“. ცენტრალურ და ადგილობრივ მაუწყებლობაზე უფასო და ბიუჯეტიდან დაფინანსებული ფასიანი პოლიტიკური რეკლამით ისარგებლებს მხოლოდ ორი საარჩევნო სუბიექტი — „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“, ამისთვის კი გამოყოფილია 1 მილიონ 200 ათასი ლარი... ფაქტობრივად, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდით, როგორ აპირებთ ამის გაპროტესტებას?**

– მე ახლა თქვენ ზუსტად ჩამოგითვლით. სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება, ცალკე აღებულ „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“, 40-ჯერ მეტი აქვს, ვიდრე მაგალითად, „ქართულ დასს“, პლუს, საარჩევნო უბანზე საარჩევნო კომისიის წევრიდან 12 წევრი „ქართული ოცნებისაა“. გამოდის, რომ „ქართული ოცნება“ დააფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტით „ქართული ოცნების“ 48 ათას აქტივისტს. მაგალითად, „ქართულ დასს“ არც ერთი დამკვირვებელი არ ეყოლება და არც ერთი კომისიის წევრი. ასევე არც ერთ სხვა პარტიას, „ნაციონალების“ გარდა. „ქართულ ოცნებას“, „ნაციონალებსა“ და „ქრისტიან-დემოკრატებს“ აქვთ უფასო სარეკლამო დროის ლიმიტი ცენტრალურ არხებზე. დანარჩენ პარტიებს წამიც არა აქვთ გამოყოფილი.

**— „ქრისტიან-დემოკრატებს“ რატომ აქვთ უფასო სარეკლამო დრო?**

– საარჩევნო კოდექსის ცნობილი სკანდალის შემდეგ პალიკო კუბლაშვილს თავის დროზე დაევალა კონკრეტული ღონისძიების ჩატარება. სრულიად უკანონოდ დაგვაკარგვინეს სარეკლამო დრო, მაგრამ „ქრისტიან-დემოკრატები“ მაშინ ჩასვეს და მას მისცეს უფასო სარეკლამო დრო... 2012 წლის არჩევნებისთვის „ნაციონალებმა“ სარეკლამო დრო გაგვიუქმეს, „ოცნებამ“ თითიც კი არ გაანძრია და თქვეს, – სააკაშვილი ძალიან კარგად მოიქცა თავის დროზეო... მოკლედ, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ არათანაბარი საარჩევნო გარემო ყოფილ-

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

## მარეგულირებელი კომისიის ბიუჯეტის 60% ხელფასებზე იხარჯება



კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შეფასებით, „მარეგულირებელი კომისიის ბიუჯეტის განკარგვის პრაქტიკა კრიტიკას ვერ უძლებს“. საგამოძიებო კომისიის 200-გვერდიან დასკვნაში ნათქვამია, რომ დამოუკიდებელი ორგანო მიღებულ შემოსავალს არაეფექტურად იყენებდა, რადგან ბიუჯეტის 60% იხარჯება ხელფასებზე, აუთვისებელი თანხა კი მუდმივად, წლიდან წლამდე მარეგულირებელი კომისიის ბიუჯეტში გადადიოდა. „მიუხედავად კანონის მკაფიო ჩანაწერისა, ამას გავლენა არ მოუხდენია მომდევნო წლის რეგულირების საფასურზე“, – აღნიშნულია დასკვნაში.

გარდა ამისა, საგამოძიებო კომისიას მარეგულირებელი კომისიის მხრიდან კანონით დაკისრებული ფუნქციების შეუსრულებლობის მაგალითად მოჰყავს პორტაბელურობა, ინტერნეტის სიჩქარის რეგულირება, სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობის გამოთვლის წესი, რამაც, კომისიის დასკვნით, ათიათასობით მომხმარებლის ინტერესი დააზიანა.

„თითოეული შემთხვევა, რომელშიც დანაშაულის ნიშნები იკვეთება, დროულად და მეთოდურად უნდა იქნეს გამოძიებული. საგამოძიებო კომისიის მიერ გამოვლენილი ფაქტები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, მნიშვნელოვანია თითოეულ საქმეზე გამოძიება ჩატარდეს პარალელურ რეჟიმში. ამასთანავე, გამოძიების ეფექტურობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქმე ეხება შესაძლო დანაშაულებს, რომელიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ლახავდა, დაზარალებული კი საქართველოს მოსახლეობა რჩებოდა“, – ნათქვამია დასკვნაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კახა კუკავა საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლებს



„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას განცხადებით, სარეკლამო დროის პარიტეტთან დაკავშირებით წარმოუდგენელი ვითარებაა. მისი თქმით, დაახლოებით 10-10 მილიონი ლარის სარეკლამო დროს მიიღებენ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო არასაპარლამენტო პარტიები 10-12 ათასი ლარის ოდენობით. მისივე თქმით, არასაპარლამენტო ოპოზიცია უფასო რეკლამას ცენტრალურ ტელევიზიებში ვერ განათავსებს და მათ ამის უფლება მხოლოდ რეგიონულ ტელევიზიებში აქვთ.

„რაც შეეხება საინფორმაციო გამოშვებებსა და განსაკუთრებით ტოქშოუებს, აქ ოფიციალური საკანონმდებლო შეზღუდვები არ არსებობს, თუმცა იმის გამო, რომ ჩვენ ტელეარხებს აქვს რაღაც გარკვეული პრიორიტეტები, საბოლოო ჯამში, არასაპარლამენტო ოპოზიცია არის მიჭირხვნილი. ყველაზე პოპულარულ არხებს აქვთ დირექტივა, რომ მთელი პოლიტიკური სივრცე უნდა წარმოადგინონ საქართველოში როგორც ორპოლუსიანი – „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. აკვირდებით, ალბათ, რომ „ქართული ოცნება“ დებატებში მონაწილეობს მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და პირიქით. ეს შეთანხმება მათ შორის სრულიად აშკარაა. ეს კეთდება იმისთვის, რომ ამ ორ პოლიტიკურ ძალას აქვს შეთანხმება, რომ ყოველ არჩევნებზე გაიყონ ხმები. „ნაციონალურ მოძრაობას“ ეს აწყობს იმისთვის, რომ მეორე ადგილზე გავიდეს, ხოლო „ქართულ ოცნებას“ იმისთვის, რათა დამარცხებულმა ძალამ ისევ მიულოცოს, როგორც ეს ბაქრაძემ გააკეთა საპრეზიდენტო არჩევნების დროს“, – აღნიშნა კუკავამ.

მისივე თქმით, „თავისუფალი საქართველო“ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ პარტიებს ეკრძალებათ რეკლამის განთავსება.

„ეს არის ცვლილება, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციით გარანტირებულ სიტყვის თავისუფლების პრინციპს“, – აღნიშნა კუკავამ. (ინტერპრესნიუსი)

## მერკელი და ერდოღანი უკრაინის სუვერენიტეტზე შეთანხმდნენ



გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი და თურქეთის პრემიერ-მინისტრი, რეჯეფ თაიფ ერდოღანი სატელეფონო საუბრისას შეთანხმდნენ, რომ უკრაინის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური ერთიანობა ნებისმიერ ფასად უნდა იყოს დაცული. მერკელმა და ერდოღანმა ხაზი გაუსვეს კრიზისის დასაძლევად საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების, „საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფის“ შექმნისა და უკრაინაში ბოლო კვირების განმავლობაში მომხდარი ძალადობრივი ფაქტების გამოძიების მნიშვნელობას. მერკელი და ერდოღანი ასევე შეთანხმდნენ, რომ 16 მარტს ყირიმში დაგეგმილი რეფერენდუმი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის თაობაზე, არალეგიტიმურია.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა მზადყოფნა, დაეხმაროს „საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფს“ უკრაინაში შექმნილი კრიზისის მშვიდობიანად მოგვარებაში, უკრაინასთან და რუსეთთან თურქეთის მჭიდრო ურთიერთობების, ასევე ყირიმელ თათრებთან განსაკუთრებული ურთიერთობებისა და პირდაპირი კონტაქტების შესაძლებლობების გზით. (ინტერპრესნიუსი)

## ჯანდაცვის სამინისტრო სასწრაფო დახმარების 220 ავტომობილს შეიძენს

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო სასწრაფო სამედიცინო დახმარების 220 ავტომობილის შეძენას გეგმავს. ამასთან დაკავშირებით სამინისტრომ ორი ტენდერი გამოაცხადა. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ჯანდაცვის სამინისტრო სამედიცინო საშუალებებით აღჭურვილ 86 ავტომობილში 4 042 000 ლარის გადახდას აპირებს, 134 ავტომობილი კი მაღალი გამავლობის, ორხიდიანი უნდა იყოს და მათში სამინისტრო 6 164 000 ლარის გადახდას გეგმავს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილები ახალი, 2012-2014 წლებში გამოშვებული უნდა იყოს. სატენდერო წინადადებების მიღება 3 აპრილს დაიწყება და 8 აპრილს დასრულდება. (ინტერპრესნიუსი)

## საგამოძიებო სამსახურმა ოთხი დანაშაულებრივი ფაქტი გამოავლინა




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ოთხი დანაშაულებრივი ფაქტი აღკვეთა. საგამოძიებო სამსახურის ცნობით, საქმე ეხება სატყეო სფეროში დასაქმებულ ადამიანებს.

ქრთამის აღების ფაქტზე, „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ მცხეთა-მთიანეთის სატყეო უბნის ძეგვის სატყეოს ტყის მცველი ელდარ კვერცხიშვილი დააკავეს.

„დაკავებულმა საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი ერთი კუბური მეტრი ნეკერჩხლის მოჭრისა და ტყიდან დაუბრკოლებლად გატანისას, მის მიერ კანონით განსაზღვრული ღონისძიებების არგატარების სანაცვლოდ, მოქალაქეებისგან ქრთამის სახით, 400 ლარი აიღო“, – აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

ქრთამის აღების ფაქტზე, მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის რეინჯერი ელბაი ალიევი დააკავეს, რომელმაც საგარეჯოს რაიონში არსებული მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე მდებარე 2,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთის მოქალაქისთვის სარგებლობაში გადაცემისა და ამ მიწის ნაკვეთის სარგებლობისას სამსახურებრივი მფარველობის სანაცვლოდ, ქრთამის სახით აიღო თანხა 3 000 ლარის ოდენობით.

ამასთანავე, ჩატარებული ოპერატიულ საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყალბი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში მიეცნენ იმერეთის სატყეო სამსახურის ბაღდათის სატყეო უბნის მცველი არჩილ გრძელიძე და ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის – წაღვერის სატყეოს ტყის მცველი კობა მსრიანი. (ინტერპრესნიუსი)

# რა ტაქტიკით აპირებს არასაპარლამენტო ოპოზიცია არჩევნებში გამარჯვებას?

*მესამე გვერდიდან*



იყო. გარდა იმ საბიუჯეტო დაფინანსებისა, რომელიც აქვს ორ პარტიას, „ნაცებსა“ და „ოცნებას“ აქვთ მილიარდები... ერთს ივანიშვილისგან, მეორეს კი თავისივე ნაქურდალი ფული. მინდა გითხრათ, რომ საარჩევნო გარემო კიდევ უფრო დამძიმდა, ვიდრე ეს იყო. და, რა თქმა უნდა, არჩევნების სამართლიანობა ეჭვქვეშ დგას.

**— ამ უთანასწორო ბრძოლაში, რა არის თქვენი სამოქმედო გეგმა?**

– ჩვენ ვცდილობთ, ამ უსამართლობას დავუპირისპიროთ არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება, გავაერთიანოთ ინტელექტუალური რესურსი, ღვთის წყალობით ეს გვაქვს და ამას ვერ წაგვართმევენ, ასევე ჩვენ უნდა გავაერთიანოთ ჩვენი მხარდამჭერთა რესურსი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავაბალანსოთ მათი უკანონო უპირატესობა.

**— შეძლებთ კი საერთო კანდიდატზე შეთანხმებას? ხომ არ იმძლავრებს თითოეულ თქვენგანში ლიდერის ამბიცია, რამაც ოპოზიცია, ფაქტობრივად, თავის დროზე დაღუპა?**

– სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია მერებისა და გამგებლების საერთო კანდიდატებზე შეთანხმება, ასევე სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია, რომ შევთანხმდეთ კვოტებზეც. ჩვენ გვაქვს გამოცდილება, როცა ოპოზიციამ ამბიცია ვერ დაძლია, დამარცხდა. ჩვენ წინ გვაქვს კარგი მაგალითი, როცა ოპოზიციას საპრეზიდენტო არჩევნებზე ვერ მოახერხა საერთო საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელება, „ნაციონალური მოძრაობა“ ამ არჩევნებში მეორე ადგილზე გავიდა. შესაბამისად, ჩვენ რომ დავუშვათ, „ნაცმოძრაობა“ ადგილობრივ არჩევნებზე კვლავ მეორე ადგილზე წავიდეს, ის საბოლოოდ გაიფორმებს მთავარი ოპოზიციონერის სტატუსს, რითაც საბოლოოდ გადაირჩენს ტყავს, რაც ნიშნავს, რომ საბოლოოდ შეჩერდება სამართლიანობის აღდგენის პროცესი. ამიტომ, ვისაც ნამდვილად უნდა, ქვეყანაში აღდგეს სამართლიანობა, ყველა ეს ადამიანი უნდა შეეცადოს, რომ გადადოს ამბიციები და გავერთიანდეთ. ვინც თავისი ვიწრო პარტიული ინტერესის იქით ვერ იყურება, ის ვერ შეძლებს გაერთიანებას.

**— ოპოზიციის გაერთიანებას წინასაარჩევნო კოალიციის სახე ექნება?**

– ჩემი სურვილია, რომ მხოლოდ ამ არჩევნებისთვის არ შევქმნათ კოალიცია, არამედ უნდა შეიქმნას ერთი კონსოლიდირებული ძალა, რომელიც ამ ეტაპზე დააბალანსებს და კონკურენციას გაუწევს „ქართულ ოცნებას“, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მას თბილისშიც კი დავამარცხებთ და სრულიად გააქრობს „ნაცმოძრაობას“ პოლიტიკური ასპარეზიდან. შემდგომში ჩვენ გვაქვს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნები და თუ ადგილობრივ არჩევნებში გავიმარჯვებთ, არ გამოვრიცხავ, რომ აქტუალური გახდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა. მე ვფიქრობ, რომ კოალიციაში უნდა გაერთიანდეს ყველა ჯანსაღი პოლიტიკური ძალა და ცალკე ინდივიდებიც არაპოლიტიკური სფეროდან. თუ ჩვენ ერთად ვიქნებით, ჩვენი მხარდამჭერებიც გაერთიანდებიან.

**— გაქვთ თუ არა კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც კონკრეტული პოლიტიკური ძალა ვერ მოხვდება თქვენს გაერთიანებაში?**

– რა თქმა უნდა, ჩვენს გაერთიანებაში ვერ მოხვდება ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელმაც წარსულში ან თავი შეირცხვინა, ან მათ არ ჰყავთ თავსებადი ელექტორატი. აი, მაგალითისთვის, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მოხდეს „ქართული დასისა“ და „რესპუბლიკელების“ გაერთიანება. ასეთ შემთხვევაში, „რესპუბლიკელებიც“ დაკარგავენ თავისი ამომრჩევლის ნახევარ პროცენტს და „ქართული დასიც“...

**— თუ ირაკლი ოქრუაშვილს მოუნდა თქვენს კოალიციაში შემოსვლა. მიიღებთ ასეთ პოლიტიკურ სუბიექტს?**

– მასთან არანაირი კონტაქტი არ მაქვს და არც მქონია, ჩვენ ვსაუბრობთ ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებზე. ძირითადად „ქართული დასი“ თავსებადია „თავისუფალ საქართველოსთან“, „ბურჯანაძე-დემოკრატებთან“, ამ პარტიებს ჩემი დიალოგი არ გასცდენია.

**— თქვენ ითხოვთ ევროკავშირის ელჩ ფილიპ დიმიტროვთან და საქართველოში აკრედიტებულ ელჩებთან შეხვედრას. რა მოლოდინი გაქვთ მათგან?**

– ჩვენ გვინდა ისინი იყვნენ ინფორმირებულნი, როგორი არადემოკრატიული არასაარჩევნო გარემო გვაქვს. მერე რომ არავის გაუკვირდეს არჩევნების შემდგომი პროცესები. როცა უსამართლობასა და უკანონობაზე მიდიხარ, მერე არ უნდა გაგიკვირდეს ხალხის ქუჩაში გამოსვლა...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

## დამტკიცებული წლიური ეროვნული პროგრამა ნატო-ს წარედგინება

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ, ალექსი პეტრიაშვილის თავმჯდომარეობით, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის სხდომა გაიმართა.

მინისტრის აპარატის ინფორმაციით, სხდომაზე 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამა დამტკიცდა. დამტკიცებული დოკუმენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით წარედგინება ნატო-ს მხარეს. საქართველო წლიურ ეროვნულ პროგრამას 2009 წლიდან ახორციელებს და მას ნატო-ში გაწევრიანების ინსტრუმენტად განიხილავს. შესაბამისად, დოკუმენტი ასახავს იმ მნიშვნელოვან რეფორმებს, რაც საქართველოს ნატო-ს სტანდარტებთან მაქსიმალურად დაახლოებას შეუწყობს ხელს. (ინტერპრესნიუსი)

## ქრთამის აღებისთვის სატყეო უბნის მცველები დააკავეს

დაბა ადიგენში და ქალაქ ახალციხეში, ქრთამის აღების ფაქტზე, სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ადიგენის სატყეო უბნის ტყის მცველი მამუკა ე. და სატყეო სამსახურის ახალციხის სატყეო უბნის ტყის მცველი შალვა გ. დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავების ოპერაცია შსს-ს ახალციხის რაიონული სამმართველოს და ანტიკორუფციული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად განახორციელეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ მამუკა ე. და შალვა გ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანხის სანაცვლოდ მოქალაქეებს ტყის უკანონოდ გაჩეხის უფლებას აძლევდნენ.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი ებრაელ ბიზნესმენებს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობის ადმინისტრაციაში ებრაელ ბიზნესმენებს შეხვდა. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი პერტაია.

ქართულმა მხარემ სტუმრებს საქართველოში არსებული ბიზნესგარემო გააცნო. ბიზნესმენებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

„დარბაზში ვხედავ ნაცნობ სახეებს, იმ ხალხს, რომლებიც იერუსალიმში გამართული შეხვედრების დროს გავიცანი. მიხარია, რომ გმასპინძლობთ საქართველოს მთავრობის კანცელარიაში, მრგვალი მაგიდის ფორმატით გამართულ ბიზნესშეხვედრაზე. მადლობას მოგახსენებთ, რომ დაინტერესდით საქართველოთი. ბატონებო, გაჩნდა იდეა, რომ დავაარსოთ ისრაელისა და საქართველოს ბიზნესსაბჭო. ეს ხელს შეუწყობს ბიზნესებს შორის ურთიერთობას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს თანამშრომლობის გაღრმავებას ჩვენს ქვეყნებს შორის. მიმაჩნია, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ათვისებული. ასე რომ, გამოვთქვამ იმედს, რომ ასეთი პოზიტიური ნაბიჯები დააჩქარებს პროცესებს უახლოეს მომავალში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ბრალდებით ერთი პირი დააკავეს



შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ალექსანდრე ე. ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ბრალდებით დააკავეს. ბრალდებული თბილისში, წურწუმიას ქუჩაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც ის თამბაქოს სავაჭრო ჯიხურში ყალბი კუპიურის გასაღებას ცდილობდა.

დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ყალბი 556 ათასი რუსული რუბლი (17 850 ლარის ეკვივალენტი) და 2 ცალი ყალბი 10ლარიანი კუპიურა, ხოლო მისი ავტომანქანის ჩხრეკისას ფერადი პრინტერი ამოიღეს. ალექსანდრე ე. აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ინტერპრესნიუსი)

## ლალი ანთია გადავადებული სასჯელის მოხდის მიზნით დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისთვის“ ხელმძღვანელის ლალი ანთიას დაკავების ფაქტს ადასტურებს. სამინისტროს განცხადებით, ანთია დაკავებული იყო თაღლითობის ბრალდებით და მას გარკვეული პერიოდი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გატარებული ჰქონდა, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სასჯელი გადავადებული ჰქონდა.

მათივე ინფორმაციით, ლალი ანთიას სასჯელაღსრულების სისტემაში კვლავ შებრუნების შესახებ სამართალდამცველებს სასამართლომ მიმართა, რადგან ჯანმრთელობის ცნობა არ წარუდგენია.

ლალი ანთია არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისთვის“ ხელმძღვანელი და ზუგდიდის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის გიზო სართანიას დედაა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK






# რით ემუქრება აშშ-დან დაბრუნებული ნათელაშვილი ივანიშვილს?

**რა შეხვედრები გამართა შალვა ნათელაშვილმა ამერიკაში და რა გზავნილები ჩამოიტანა მან? რა ინფორმაცია მიაწოდა 14 კონგრესმენს და რა ულტიმატუმს უყენებს ის ბიძინა ივანიშვილს?**

**„ალიას“ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი ესაუბრა:**

**— ბატონო შალვა, ამერიკაში წასვლის წინ მითხარით, რომ მნიშვნელოვანი შეხვედრები გქონდათ დაგეგმილი. როგორ ჩაიარა ვიზიტმა, კმაყოფილი ხართ?**

– ვიზიტი, როგორც მოსალოდნელი იყო გამოდგა ძალიან საინტერესო, შინაარსიანი, დატვირთული და შედეგიანი. 14 კონგრესმენი რომელი ქვეყნიდან ჩასულ ოპოზიციურ ლიდერს შეიძლებოდა შეხვედროდა ერთი ვიზიტის დროს? ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, შედეგს მალე ყველა დაინახავს. ტრადიციულად, უმსხვილესი შეხვედრა გვქონდა საგარეო-პოლიტიკური საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან პიშნერთან და რა თქმა უნდა, ასევე, ტრადიციული მრგვალი მაგიდა სახელმწიფო დეპარტამენტში. ვფიქრობ, რომ ეს ყველა კონტაქტი მნიშვნელოვნად გამოადგება საქართველოს.

**— თქვენ მითხარით, რომ გარკვეული ინფორმაციები მიგქონდათ აშშ-ში. ამერიკას საქართველოში ელჩი ჰყავს, რომლის მეშვეობითაც იღებს ის ინფორმაციას. თქვენ რამე განსხვავებული მიაწოდეთ?**

– არ ვიცი, ნორლანდი რა ინფორმაციებს აწვდის მათ, მაგრამ ჩვენი ვიზიტისას მათ ობიექტური და განსხვავებული ინფორმაციები მივაწოდეთ. ძირითადი აქცენტი გამახვილებული იყო მომავალ არჩევნებზე, რომელსაც ივანიშვილის რეჟიმი დღეიდანვე აყალბებს ყველანაირი ურცხვი და დაუშვებელი ფორმით. თუნდაც ის, რომ 12-დან 11 მმართველი პარტიის კომისიის წევრია და ერთი კიდევ ყოფილი მმართველი პარტიის კომისიის წევრი, რომელიც ალიანსშია მათთან, თავისთავად მათთვის არის ძალიან დიდი ნოვაცია და სარეაგირებო. თუნდაც ის, რომ ერთ მხარეს დგას მილიარდერი მილიარდიანი ბიუჯეტით, სახელმწიფო რესურსებით და მეორე მხარეს ვდგავართ პოლიტიკური პარტიები გაკულაკებული, ფინანსებალკვეთილი, კომისიის წევრებწართმეული, უფასო სარეკლამო დროჩამორთმეული. ჩემზე უკეთესად და ნატურალურად ვინ ჩაიტანდა ამ ამბებს იქ?

**— რა ინფორმაცია მიაწოდეთ ისეთი, რაც ნორლანდისგან ვერ მიეწოდებოდა?**

– არ ვიცი და არ შემიძლია, გადავამოწმო, ნორლანდი რა ინფორმაციებს აწვდით, მაგრამ ჩვენ პირდაპირი კონტაქტების საშუალებით გავედით იქ და ეს უმნიშვნელო ამბავი არაა.

**— იცით, რა მაინტერესებს? ვინც ამერიკაში ჩადიოდა, ყველამ იხეირა, ზოგი პარტია პარლამენტშია, ზოგი მთავრობაში... თქვენ რა კონკრეტული იმედებით ჩამოხვედით იქიდან? რა ჩამოიტანეთ?**

– შალვა ნათელაშვილმა მხოლოდ თავისი ქვეყნის გახარებით შეიძლება ნახოს ხეირი, სხვანაირი ხეირი მისთვის არ არსებობს. მე ვთხოვე კონგრესმენებს, რომ დაიწყონ რეზოლუციის ინიცირება წარმომადგენლობით პალატაში იმის თაობაზე, რომ საქართველოში წინასაარჩევნოდ შექმნილია არადემოკრატიული ფონი და მხარი დაგვიჭირონ ამ საარჩევნო კანონმდებლობის შესწორებაში, რაც მოესწრება დარჩენილ პერიოდში. კონგრესმენების ნაწილმა გამოთქვა სურვილი, რომ ჯონ ქერის მიმართონ დემოკრატიისთვის საშიშ ვითარებაზე. დემოკრატიისთვის საშიში ვითარება კი ამერიკის სტრატეგიული ინტერესის რღვევაა. ასე აღიქვამენ. ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში სააკაშვილისგან აღკვეთილი გვქონდა ურთიერთობა ამერიკის პოლიტიკურ ელიტასთან ფართო სპექტრში. ის და მისი ჯგუფი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ჩვენ, მე არ გავკარებოდი კონგრესის დონეზე მნიშვნელოვან ადამიანებს. ახლა ეს დრო დამთავრებულია. შესაბამისად, ამერიკა არის უკვე გახსნილი ჩვენთვის, ისე, როგორც არასდროს. ის ციხესიმაგრე, რაც აგებული იყო „ნაცმოძრაობის“ დროს, პირველ რიგში ოკეანის გაღმა, დღეს მისგან ნანგრევებიღაა დარჩენილი. მე ევროპა არ მომისინჯავს ჯერ და არ ვიცი, იქ როგორაა მდგომარეობა.

**— კონკრეტულად თქვენ რა ჩამოიტანეთ, ფულს ხომ არ დაგპირდნენ?**

– მოდი, ახლა ობიექტურად ვთქვათ, ამერიკიდან ფულს ვერავინ ვერ ჩამოიტანს, ვერც ერთი პოლიტიკოსი. იმიტომ რომ ამერიკაში უპრაგონოდ ფულს არ იძლევიან. საქმე ის გახლავთ, რომ უფრო არასამთავრობო სექტორი მუშაობს ამ მიმართულებით, რომლებიც გრანტების სახით სხვადასხვა სამუშაოებს ასრულებენ. იგივე 2003 წელს, როდესაც ჩვენ გვეგონა, რომ სოროსი იძლეოდა ამ გადატრიალებისა და რევოლუციის ფულს, აღმოჩნდა, რომ ივანიშვილს გაუცია ეს ფული, თვითონვე აღიარა. მაშინაც კი არ გამოუშვია ამერიკას ფული სააკაშვილზე, უბრალოდ, მათ დაჰბრალდათ. მე არასოდეს გამიკეთებია ის, რომ არასამთავრობო შემექმნა, ჩემს ნათესავზე გამეფორმებინა, იმისთვის, რომ ამერიკელებისგან გრანტი მიმეღო. მე ამას არც ჩემს თავს და არც მათ არ ვაკადრებ. სამწუხარო რეალობაა, რომ ის ფული, რაც გვქონდა ჩვენ ბიუჯეტიდან, როგორც ტრადიციულ პარტიას, წაგვართვეს და არ გვიბრუნებენ. სამაგიეროდ 0%-იანი პარტიის ლიდერებს თოფაძეებს, ძიძიგურებსა და რა ვიცი, კიდევ ვინ არის შეყრილი ივანიშვილის გუნდში, მილიონები უჯდებათ. მაშინ როდესაც საკუთარ ოჯახშიც არ აქვთ მხარდაჭერა. დედამიწამ არ იცის ეგეთი პრეცედენტი, რომ 0% პარტიები მმართველირებადი პარტიები გამხდარიყვნენ და მერე კიდევ ქვეყანას მილიონები ეხადა ამაში. ეს გააკეთა ივანიშვილმა პირადად ჩვენთვის, იმ სიძულვილის ფონზე, რაც მას ამოძრავებს ჩვენ მიმართ.

**— 30 მარტამდე ულტიმატუმი წაუყენეთ ივანიშვილს, რას აპირებთ, რამე აქციებს ხომ არ გეგმავთ?**

– 30 მარტამდე თუ არ მოიყვანს კანონს ელემენტარული დემოკრატიის დონესთან შესაბამისობაში, ყველა ბანკი, ყველა საფინანსო ბირჟა, ყველა სააქციო საზოგადოება იქნება გაფრთხილებული, რომ მათი პარტნიორია, მათი მეანაბრეა და მათი თანამონაწილეა კრიმინალი, იარაღის კონტრაბანდისტი „ანგოლა გეიტის“ ავტორი, ველური კაპიტალიზმის ერთ-ერთი ლიდერი, გარჩევებითა და სისხლით, კრიმინალური ფულის, 7 მილიარდის მფლობელი ივანიშვილი. თქვენ რა გგონიათ, რატომ გაუყინეს კადაფისა და ჰუსეინს და სხვა დიქტატორებს საბანკო ანგარიშები? იმიტომ გაუყინეს, რომ ისინი არღვევდნენ დემოკრატიის ნორმებს და აყალბებდნენ არჩევნებს, ეს იყო მთავარი მიზეზი. შესაბამისად, რა განსხვავებაა კადაფსა და ივანიშვილს შორის? როგორც იმათ მოიყვანეს თავისი ნათესავები, ასევე, ივანიშვილმაც მოიყვანა თავისი ნაცნობები და ნათესავები.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

**რედაქციისგან: უკვე წლებია ბევრი პოლიტიკოსი დადის ამერიკასა და ევროპაში, გახარებულები ჩამოდიან ვიზიტებიდან, მაგრამ გახარებული ქართველი ამომრჩეველი 20 წელია არ გვინახავს.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ილია მეორე იერარქიაში საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ადგილის დაბრუნებას ითხოვს




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სტამბულში, პანორთოდოქსულ შეკრებაზე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას შეეხო. საქართველოს საპატრიარქო 6-9 მარტს სტამბულში, კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოში პანორთოდოქსულ შეკრებაზე უწმინდესის მიმართვის ტექსტს ავრცელებს.

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით გულითადად მოგესალმებით მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებსა და წარმომადგენლებს და აღვნიშნავ, რომ დღევანდელი ჩვენი შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც მან უნდა განიხილოს საკითხები, რომელიც მომავალი დიდი კრების წარმატებით ჩატარების წინაპირობად უნდა იქცეს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის შიში, რომელიც არსებობს მრევლის დიდ ნაწილში ამ საეკლესიო კრებასთან დაკავშირებით და მაქსიმალური სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მის მომზადებას. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო კრებების მოწვევა ხდებოდა მწვალებლობისგან ეკლესიის დაცვისა და ჭეშმარიტი სწავლების განმტკიცების მიზნით. ეს კრება კი სხვა სახისაა, მისი მოწვევის საფუძველი და მიზეზი სულ სხვა არის. დიდი კრების მიზანია, საერთაშორისო საზოგადოებას აჩვენოს მართლმადიდებელთა ერთობა. ამიტომაც აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, ეს შეკრება ჩატარდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოხდება დღის წესრიგში არსებულ ყველა საკითხზე კონსენსუსის (ყველას თანხმობის) მიღწევა და ყველას ინტერესის გათვალისწინება. ამასთანავე, კონსენსუსის წესით უნდა წარიმართოს მთავარი შეხვედრაც. ეს არის რეალური გარანტია იმისა, რომ აღნიშნული კრება არ იქცეს ეკლესიათა შორის ურთიერთობის დაძაბვის მიზეზად და დამაბრკოლებლად მსოფლიოს წინაშე.

ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საჭიროა უკვე გავლილი და შეთანხმებული თემების ნაწილის ხელახლა განხილვაც, რათა, თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია. ამასთანავე, ათივე საკითხი, რაც შემუშავდა მოსამზადებელ შეხვედრებზე და რომელთა შესახებაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული 1968 წელს ჟენევაში გამართულ სხდომაზე, მომავალი კრების დღის წესრიგში უნდა შევიდეს.

მინდა აღვნიშნო უშუალოდ საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებული თემების შესახებაც: ფრიად ვწუხვართ იმის გამო, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერ კიდევ თავისი კუთვნილი ადგილი არ უკავია კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიქში. თუ ეს არ გამოსწორდება და თუ ყველა თემა არ იქნება შეტანილი მომავალი კრების განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში, ჩვენთვის მასში მონაწილეობის მიღება ძალიან რთული იქნება.

მოგეხსენებათ ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ეს არის ღია ჭრილობები საქართველოს სხეულზე. ირღვევა საეკლესიო კანონიკური ნორმებიც, როდესაც სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლები ჩვენთან შეუთანხმებლად და ჩვენი ნებართვის გარეშე ჩადიან აფხაზეთის ეპარქიაში, რომელიც, ცხინვალის რეგიონთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის განუყოფელი ნაწილია. მე არ შემიძლია თქვენს წინაშე არ დავაფიქსირო ის ფაქტი, რომ საქართველოს ამ ორივე ეპარქიიდან 370000-ზე მეტი ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირია, რომლებიც დღეს ძალიან მძიმე გამოწვევების წინაშე იმყოფებიან; პრობლემურია ადგილზე დარჩენილთა მდგომარეობაც.

დაბოლოს, აღვნიშნავ, რომ ოც წელზე მეტია ჩვენს ქვეყანაში რთული ვითარებაა, ძმათა შორის დაპირისპირების მძიმე შედეგები საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი, ამიტომაც მტკივნეულად განვიცდით დღეს სირიასა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და ვლოცულობთ, რომ მშვიდობამ დაისადგუროს ამ ქვეყნებში.

კიდევ ერთხელ მოგესალმებით ყველას და შევთხოვ უფალს, 6-9 მარტის ჩვენი თავყრილობა იმედის მომცემი და ნაყოფიერი იყოს“, – ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სიტყვაში, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქმა სტამბულში პანორთოდოქსულ შეკრებაზე 6 მარტს წარმოთქვა. (ინტერპრესნიუსი)



# რა ცვლილება შედის საგადასახადო კოდექსში?

**საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ ინიციატივით საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შედის, რომლის მიხედვითაც, ამიერიდან ის კომპანიები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში დამატებითი ღირებულების გადასახადისგან განთავისუფლებულები იყვნენ, პრივილეგიებით ველარ ისარგებლებენ. რატომ გახდა საჭირო ცვლილებები და რა შედეგი შეიძლება მოიტანოს მსხვილი კომპანიების გათანაბრებამ მცირე და საშუალო ბიზნესთან?**

**„ალიას“ ესაუბრება საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ მდივანი ზურაბ ტყემალაძე:**

– ჯერ კიდევ მოქმედი კოდექსით, იმპორტიორები, რომლებიც წლის განმავლობაში 200 000 ლარზე მეტს იხდიან დამატებითი ღირებულების გადასახადს, თავისუფლდებიან საბაჟოზე დღგ-ს გადახდისგან, ამ თანხას იხდიან იმპორტირებული პროდუქციის გასაღების შემდგომ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არ არის სწორი, ვინაიდან საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებსაც 1 მილიონ 200 ათას ლარზე ნაკლები ბრუნვა აქვთ წლიურად, საბაჟოზე ამ შეღავათებით არ სარგებლობენ. აქედან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ იმპორტირებული პროდუქციის ფასი ხდება არაკონკურენტუნარიანი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელთა პროდუქციის ფასთან მიმართებაში. ჩვენი კონსტიტუციაც და კანონმდებლობაც მიგვითითებს, რომ გარკვეული პიროვნული შეღავათების დაწესება არ შეიძლება და ყველა უნდა იყოს კონკურენტუნარიან პირობებში. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებიც, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებიც და ყველა ის პირი, რომლებიც ერთსა და იმავე საქმიანობას ეწევიან. გარდა ამისა, კოდექსში ცვლილებების შეტანა ხელს შეუწყობს ჩანაცვლების პროექტის განხორციელებას, რომელიც იმპორტის ჩანაცვლებას გულისხმობს ადგილობრივი წარმოების პროდუქციით. მოკლედ, რომ შევაფასოთ, ადგილობრივი მწარმოებლები და მცირე და საშუალო ბიზნესი მოექცევიან ისეთ რეჟიმში, როგორც რეჟიმშიც მოექცევა მსხვილი ბიზნესი, ანუ ადგილობრივი მწარმოებლები და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები კი არ განთავისუფლდებიან გადასახადიდან, არამედ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებიც აღარ იქნებიან გათავისუფლებული დამატებითი ღირებულების გადასახადიდან რამდენიმე თვის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ყველა იქნება თანაბარ პირობებში იქნება.

**— დეპუტატმა ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, რომ „მრეწველები“, კონკრეტულად კი ფრაქციის თავმჯდომარე გოგი თოფაძე საკუთარ ინტერესებს ლობირებს, მას რას უპასუხებთ?**

– როგორ შეიძლება რაიმე აბსურდზე პასუხი გასცე ადამიანმა? ეს, რა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუეა. თუკი ჩაიხედავთ დოკუმენტაციაში, გოგი თოფაძეს შეუძლია, ისარგებლოს ისეთივე შეღავათებით, როგორითაც სარგებლობენ მსხვილი ბიზნესმენები, მაგრამ ნურას უკაცრავად, არასდროს არ უსარგებლია გოგი თოფაძეს ამ შეღავათებით და არც ისარგებლებს.

**— როდიდან ამოქმედდება კანონპროექტი?**

– კანონი ამოქმედდება 1-ლი ივლისიდან, გარკვეული პერიოდი ექნებათ მეწარმეებს, რომ გადაეწყონ ახალ რეჟიმზე. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა უკვე განიხილა ეს პროექტი, მოიწონა და მიიღო კიდეც. ახლა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტია წამყვანი კომიტეტი, რომელიც განიხილავს ამ ცვლილებათა პროექტს და ამის შემდეგ ვიმედოვნებთ, რომ მომავალი კვირის საპარლამენტო სესიისთვის შევძლებთ პარლამენტის სხდომაზე დავიწყოთ განხილვა.

**— ამ ცვლილებათა პროექტს, სავარაუდოდ, მოჰყვება პროტესტი იმ მეწარმეების მხრიდან, რომლებიც ამ დრომდე შეღავათებით სარგებლობდნენ. თქვენი პასუხი რა იქნება მათ მოსალოდნელ პრეტენზიაზე?**

– ჩემი პასუხი ის იქნება, რომ ყველა უნდა იყოს თანასწორ პირობებში ჩაყენებული და ვფიქრობ, რომ მადლობა აქვთ სათქმელი, რომ ამდენ ხანს სარგებლობდნენ ამ შეღავათებით. ახლა კი ჩადგებიან თანაბარ პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან.

**— თუ გაქვთ გათვლილი შესაძლო პოზიტიური შედეგები, რომელიც შეიძლება მოიტანოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებმა?**

– ბუნებრივია, ნებისმიერ კანონპროექტში ცვლილებათა პროექტზე მუშაობისას მთავარი განმსაზღვრელი ის არის, შედეგი რა იქნება. კონკრეტულად ჩვენი ინიციატივის შედეგი იქნება ის, რომ გაიზრდება შიდა წარმოება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება იმპორტირებული პროდუქციისა. მოსალოდნელია და ნამდვილად ვვარაუდობთ, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი კიდევ უფრო განვითარდება და გაფართოვდება, ვინაიდან ამიერიდან რაც დაუჯდება მსხვილ ბიზნესს პროდუქციის შემოტანა, იგივე დაუჯდება მცირე ბიზნესის წარმომადგენელს და აბსოლუტურად თანაბარ პირობებში იქნებიან ჩაყენებული. გარდა ამისა, მცირე და საშუალო ბიზნესის თანაბარ პირობებში ჩაყენება მსხვილ ბიზნესთან და მათი გაფართოება გამოიწვევს ადამიანების დასაქმებას. ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში ასეა, თანაბარ პირობებშია მცირე და მსხვილი ბიზნესი და ჩვენ რატომ უნდა დავჩაგროთ ვინმე?

**შორენა გოგოლაძე**

599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პარლამენტის საგამოძიებო კომისია მარეგულირებელში ინტერესთა კონფლიქტზე მიუთითებს



პარლამენტის საგამოძიებო კომისია კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში კარლო კვიტაიშვილის, ირაკლი ჩიქოვანისა და სოფიო ბრიტანჩუკის ინტერესთა კონფლიქტზე საუბრობს.

კარლო კვიტაიშვილის საქმიანობის შესწავლის პროცესში ინტერესთა კონფლიქტი პოლიტიკური შეუთავსებლობის თვალსაზრისით გამოიკვეთა. საგამოძიებო კომისიამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და პოლიტიკურ გაერთიანება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მიმართა. ცესკოს მიერ საგამოძიებო კომისიაში წარდგენილი წერილით ირკვევა, რომ კარლო კვიტაიშვილი 2005 წლის 6 აგვისტოდან 2013 წლის 24 აპრილამდე იყო საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი. აღნიშნულს ადასტურებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“. შესაბამისად, კვიტაიშვილი მარეგულირებელ ორგანოში წევრობის მთელი პერიოდის განმავლობაში პარალელურად სხვა სახელმწიფო ორგანოში, კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის ფუნქციებს ითავსებდა.

ამავე დოკუმენტის თანახმად, ირაკლი ჩიქოვანის ინტერესთა კონფლიქტს შპს „მაგი სტილი მედიას“ საქმიანობა ადასტურებს, სადაც ჩიქოვანი 35%-იანი წილის მფლობელი იყო. ეს არის კომპანია, რომლის საქმიანობის ძირითადი საგანი სატელევიზიო რეკლამების მომსახურება და ტელევიზიებში მათი განთავსებაა. კომისია მიიჩნევს, რომ ჩიქოვანი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს არა კანონის, არამედ საკუთარი ბიზნესინტერესებით ხელმძღვანელობდა.

კერძოდ, საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ჩიქოვანის ბიზნესინტერესები სამაუწყებლო კომპანიებში რეკლამის განთავსებაზე შემდეგნაირად იყო ასახული: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ – 2009 წლის 1-ლი იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით რეკლამებს ათავსებდა „მედია ჰაუსი“ (კომპანიაში ჩიქოვანი 2010 წლის 19 აგვისტომდე ფლობდა ჯერ 40%-ს, შემდგომ კი – 50% წილს); „რუსთავი 2“ – 2007-2010 წლებში რეკლამას ათავსებს შპს „მედია ჰაუსში“; ტელეკომპანია „მზე“ – 2007-2010 წლებში რეკლამას ათავსებდა შპს „მედია ჰაუსში“

პარლამენტის საგამოძიებო კომისია ყურადღებას ამახვილებს, რომ „რეკლამის შესახებ“ კანონის შესრულებაზე მონიტორინგი, შემოწმება და შემოწმების აქტის შედგენა სწორედ მარეგულირებელი კომისიის ფუნქციაა...

კომისიის შეფასებით, „ცალსახაა, რომ მარეგულირებელი კომისიის მიერ, კანონით დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება რეკლამის კანონის მოთხოვნების დაცვას გამოიწვევდა, რაც, თავის მხრივ, შეამცირებდა შესაბამის ტელეარხებზე რეკლამის რაოდენობას, ეს კი, შესაბამისად, უარყოფითად აისახებოდა იმ კომპანიის შემოსავლებზე, რომელსაც პრაქტიკულად ექსკლუზიური უფლება ჰქონდა მოპოვებული ნაციონალური დაფარვის ტელეარხებზე რეკლამის განთავსებისთვის და რომლის მფლობელიც თავად ბატონი ჩიქოვანი იყო.

„კიდევ უფრო მარტივად რომ აღვწეროთ ვითარება, კანონის შესრულება პირდაპირ კავშირში იყო მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის პირად შემოსავლებთან. შესაბამისად, სრულიად ლოგიკური და ახსნადია კომისიის დუმილი კანონის დარღვევაზე და საკუთარი ფუნქციის შეუსრულებლობა“, – აღნიშნულია კომისიის დასკვნაში.

პარლამენტის საგამოძიებო კომისია ასევე დაინტერესდა მარეგულირებელი კომისიის ერთ-ერთი წევრის სოფიო ბრიტანჩუკის ინტერესთა კონფლიქტის საკითხით. კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ 2007 წლის 13 სექტემბერს დავით კაკაურიძემ შპს „ობიექტივი 2-ში“ კუთვნილი წილი 51% ნოდარ ჭარხალაშვილს აჩუქა. 2008 წლის 13 თებერვალს კი, ჭარხალაშვილმა სამაუწყებლო კომპანიის წილი ბიზნესმენ გურამ კვირიკაშვილს დაუთმო. თავის მხრივ, კვირიკაშვილმა 2008 წლის 21 მარტს სამაუწყებლო ლიცენზია სახელმწიფოს დაუბრუნა. საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ბატონმა კვირიკაშვილმა განმარტა, რომ მისი სურვილი არ ყოფილა არც ლიცენზიის მიღება, არც ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნა... გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მაღალი ალბათობით პრეზიდენტი, ასევე პარლამენტი არ ფლობდა დეტალურ ინფორმაციას კონკურსანტების შესახებ ან პირიქით – აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტო მიზანმიმართულად დუმდა წლების განმავლობაში კანონმდებლობის დარღვევების ფაქტებზე. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიღებული მასალებით ირკვევა, რომ სოფიო ბრიტანჩუკის მიერ განცხადება პრეზიდენტის სახელზე, „სივი“, დიპლომის ასლი, პირადობის მოწმობის ასლი, ხელწერილი, რომ არ აქვს მე-11 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი. თუმცალა, საგამოძიებო კომისიამ ბრიტანჩუკის კორესპონდენციაში ვერ ამოიკითხა განცხადება/შეტყობინება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად იმის თაობაზე, რომ მისმა მეუღლემ ნოდარ ჭარხალაშვილმა განაცხადის შეტანის წინა დღეს 2008 წლის 13 მარტს გაასხვისა კუთვნილი 51% შპს „ობიექტივ 2“-ში. – ნათქვამია დასკვნაში.

საგამოძიებო კომისიის შეფასებით, სამ კომისიონერთან დაკავშირებით გამოვლენილი ფაქტები ადასტურებს, რომ, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ისე საკანონმდებლო ორგანო წლების განმავლობაში შეთანხმებულად არიდებდა თავს მათთვის მინდობილი საკითხის სრულყოფილად და კანონისმიერად აღსრულებას.

„შესაბამისად ჩნდება ეჭვი, რომ ამ გზით არჩეული პირები ხელისუფლების წინაშე კონკრეტულ ვალდებულებებს იღებდნენ“, – აღნიშნავს პარლამენტის კომისია. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





# ნატო უკრაინის ნაპირებთან წვრთნებს იწყებს

## რუსეთი ატომური ბომბით იმუქრება

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით სამხედრო ქმედებები არ გამორიცხა, აშშ-ს შეიარაღებული ძალების შტაბების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ მარტინ დემსინი აცხადებს, რომ ყირიმის კრიზისის ესკალაციის შემთხვევაში ამერიკა სამხედრო მოქმედებებისთვის მზადაა, რათა პასუხი გასცეს რუსეთს.

უკრაინამ სრულმასშტაბიანი წვრთნები დაიწყო. 10 მარტს სამხედრო-საზღვაო წვრთნებს იწყებენ ნატოს წევრი ქვეყნები: აშშ, რუმინეთი, ბულგარეთი. მანევრები შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთში, უკრაინის საზღვრებთან ახლოს ჩატარდება. პოლონეთში ამერიკამ 12 ავიაგამანადგურებელი და 300 სამხედრო გადაისროლა.

ამ ფონზე რუსეთის ვიცე-პრემიერმა დიმიტრი რაგოზინმა, რომელიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს კურირებს, საგანგაშო განცხადება გააკეთა, რომ თავდასხმის შემთხვევაში რუსეთი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს.

რა სახის ომს მივიღებთ 21-ე საუკუნეში? გვემუქრება თუ არა განადგურება?..

**„ალიას“ კითხვებს პასუხობს სამხედრო ექსპერტი, გიორგი თავდგირიძე:**

– მოვლენებს მივყვეთ თანმიმდევრულად, პირველ რიგში, როცა სამხედრო წვრთნები ტარდება, ეს არის ძალის დემონსტრირება და პოლიტიკური ზეწოლის იარაღი, რაც გულისხმობს რუსეთის ამბიციური და აგრესიული ქმედების შეზღუდვას და რუსეთის გონზე მოყვანას. რუსეთის ქმედება დღეს ყოველგვარ ზღვარს სცილდება. აშკარად ერევა მეზობელი ქვეყნის საქმეებში და ომის ზღვარზე მიიყვანა დაძაბულობა, ამას არავინ აპატიებს. შესაბამისად, მსოფლიო ახდენს ძალის დემონსტრირებას.

**— კი მაგრამ, დასავლეთის ძალის დემონსტრირება რუსეთს შეაშინებს?**

– თავისთავად, ჩვენ სახეზე გვაქვს რუსეთის ქმედებების შეზღუდვა, ჩვენ ამას ვხედავთ ყოველდღიურად. ყირიმის საკითხი ის თემაა, რომლის გამოც უკრაინამ შეიძლება რუსეთის ქმედება ხელზე დაიხვიოს და უარი თქვას ხარკოვის იმ ხელშეკრულებაზე, რომელიც იანუკოვიჩმა გააფორმა და ითვალისწინებს 2017 წლიდან 25 წლით სამხედრო ინფრასტრუქტურის დატოვებას რუსეთის სარგებლობაში. თუ ეს ხელშეკრულება გაუქმდა, 2017 წელს მოუწევს რუსეთს ყირიმის სამხედრო ბაზების დატოვება და ფაქტობრივად, რუსეთი რჩება შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის გარეშე. ის დარჩება როგორც რეგიონალური სახელმწიფო, ეს თემა რუსეთისთვის არის ძალიან მტკივნეული, ამიტომ ის შეეცდება, რომ ბოლომდე ივაჭროს, რათა ყირიმის სანაპიროს გასწვრივ, ასევე, სიმფეროპოლსა და სევასტოპოლში სამხედრო ბაზები შეინარჩუნოს.

**— ვიცე-პრეზიდენტი დიმიტრი რაგოზინი ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრება. არსებობს იმის თეორიული შანსი, რომ რუსეთმა ეს ნაბიჯი გადადგას?**

– რაგოზინი არის არასერიოზული პოლიტიკოსი, ეს არის ჯამბაზი პუტინის კარზე და ხშირ შემთხვევაში მისი განცხადებები არის მხოლოდ ენის ტლიკინი. პუტინის მოქმედებებს თუ დავაკვირდებით, მას უწევს ლავირება, ერთი მხრივ ის მალამოდ ედება შოვინისტურად განწყობილებს, მაგრამ მეორე მხრივ, ის გამოირჩევა პრაგმატული ნაბიჯებით. პუტინი, რომელსაც აქვს უზარმაზარი ქონება და არის უზარმაზარი სახელმწიფოს მეთაური, არ მგონია, რომ ბირთვულ ავანტიურაში გადაეშვას, რომელ ავანტიურასაც მოგებული მხარე არ ჰყავს. სამწუხაროდ, პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები იწყებენ პუტინზე ასეთ საუბარს, – ის ყველაფერზე წამსვლელია. ამ დროს, ის არ არის ყველაფერზე წამსვლელი, პუტინი არის რაციონალური პოლიტიკოსი, ის, როგორც რისკიანი პოლიტიკოსი, ხშირად მიდის ვაბანკზე, მაგრამ საბოლოო ჯამში მისი პოლიტიკა შეიძლება იყოს პროგნოზირებადი.

**— მსოფლიოს საერთაშორისო საზოგადოებას რა შესაძლებლობა აქვს იმისთვის, რომ არ დაუშვას ბირთვული ომი? ასეთ შემთხვევაში როგორ იქცევა პენტაგონი, გაეროს უშიშროების საბჭო რა რეზოლუციას იღებს? რა უფლებას იტოვებს დანარჩენი მსოფლიო?**

– თუ რომელიმე მხარე, ვინც ბირთვულ არსენალს ფლობს, გადაწყვეტს, რომ ღილაკს თითი დააჭიროს, აქ სრულდება ყველაფერი, ეს საკითხი არც კანონით რეგულირდება, არც სანქციებით, ყველაფერი კარგავს აზრს. ბირთვული ომის ერთადერთი პრევენცია არსებობს, ეს არის კეთილი ნება. ღმერთმა დაგვიფაროს და თუკი ეს მოხდა, დავიღუპებით. რუსეთს გააჩნია ბირთვული ქობინების დიდი არსენალი, არის კიდევ რამდენიმე ქვეყანა, რომელიც ფლობს კიდევ ბირთვულ ქობინებს. თუ ეს ნაბიჯი გადადგა რუსეთმა, ამას მსოფლიოომში მოჰყვება ჯაჭვური რეაქცია. ფაქტობრივად, გამოვა, რომ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ყველა სახელმწიფო ყველა სახელმწიფოს წინააღმდეგ გაილაშქრებს. ფაქტობრივად, დაფარვის ზონა მთელი ჩრდილოეთ პოლუსია. ცხადია, ამ დაფარვის ზონაში საქართველოც შედის. მაგალითად, რუსეთმა სამიზნედ რომ აირჩიოს უკრაინა, ბელორუსი, ამერიკის რაკეტების სამიზნე გახდება რუსეთი. ასეთ შემთხვევაში ბირთვულ იარაღს რუსეთიც გამოიყენებს და ამერიკაც. ამ ომში კაცობრიობა დაიღუპება, ვინც გადარჩება, მათ მოშლილი ექნებათ ყოველგვარი ინფრასტრუქტურა, შერყეული ექნებათ ჯანმრთელობა, ერთ დღეში მთელი მსოფლიო გამოვა მწყობრიდან. მე მაინც ვფიქრობ, რომ რუსეთი გამონახავს უკან დასახევ საშუალებას.

**— უკან დახევით რუსეთი სტრატეგიულ მარცხს განიცდის. ამას გადაყლაპავს რუსეთი?**

– იდეაში რუსეთმა სტრატეგიული მარცხი განიცადა, ყირიმი გავიდა მისი გავლენის ზონიდან. დისტანცირება დღითი დღე ღრმავდება, საბოლოო ჯამში, ალბათ, ხარკოვის ხელშეკრულებას ძალაში დატოვებენ, ეს იქნება ის საპიარო თემა რუსეთისთვის, შემდგომ რომ დააპიაროს, თითქოს მან უკრაინაზე გაიმარჯვა. უკრაინა მიიღებს დასავლეთის მყარ გარანტიებს, ეკონომიკურ დახმარებას, ისევე როგორც საქართველო, გააქტიურდება უკრაინასთან მიმართებაში ნატო. საბოლოო ჯამში, დაახლოებით 10-12 წლის შემდეგ, მივიღებთ იმ მოცემულობას, რომ აღარ იარსებებს პოსტსაბჭოთა ზონა, იქნება რუსეთი და ევროატლანტიკური სივრცე. რუსეთი დადგება არჩევანის წინაშე, ის ან იქნება ჩრდილოეთ კორეის ნაირსახეობა, ან ჩაეწერება ცივილიზებულ სამყაროში. ეს არის სცენარი, რომელსაც უახლოეს 10 წელიწადში ველოდები, რა თქმა უნდა, არის ბირთვული იარაღის გამოყენების საშიშროება, მაგრამ მე ამას გამოვრიცხავ.

**— დაბოლოს, თუკი რუსეთი განიცდის უკრაინაში სტრატეგიულ მარცხს, ეს ნიშნავს, რომ სამყარო შეიცვლება, რაც თავადაც აღნიშნეთ, თუმცა ამ შუალედში რა საფრთხეები შეიძლება მოაწყოს რუსეთმა საქართველოსთან მიმართებაში?**

– რუსეთმა მოახერხა ის, რომ საქართველომ დასავლეთთან ურთიერთობა კიდევ უფრო გააღრმავა. რუსეთმა უკრაინაში თავისი ქმედებით განაპირობა სწორედ ის, რომ, ფაქტობრივად, საქართველო ძალიან მალე განხილული იქნება როგორც ევროპის შემადგენელი ნაწილი, სადაც არანაირად არ იქნება გათვალისწინებული რუსეთის ინტერესები. ხოლო ტექნიკურად მივიღეთ ის, რომ უკრაინის საკითხის დასრულების შემდეგ, დასავლეთი კიდევ აქტიურად გამოვიყენოთ რუსეთზე ზეწოლისთვის, კერძოდ, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაცია. საქართველოში უნდა დასრულდეს არასერიოზული დაპირისპირება, უნდა დაიწყოს საქმიანი ჯგუფების კამათი და არა მარგინალური ჯგუფების წივილ-კივილი.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## გიგი უგულავა ეჭვობს, რომ აღმკვეთ ღონისძიებას დაუმძიმებენ

„ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, გიგი უგულავა ეჭვობს, რომ 12 მარტს ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე პროკურატურა მისთვის აღმკვეთი ღონისძიების დამძიმებას შეეცდება. როგორც უგულავა „ფეისბუკში“ საკუთარ გვერდზე წერს, აღნიშნულის ვარაუდის საფუძველს აძლევს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორის, მალხაზ კაპანაძის მიერ შედგენილი ოქმი, რომელშიც ის განმარტავს, რომ „2014 წლის 6 მარტს, 15:00 საათზე ბრალდებული გიორგი უგულავა უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მასთან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით“, თუმცა მან „2014 წლის 5 მარტს 04:34 საათზე, თბილისის აეროპორტის გავლით დატოვა საქართველოს ტერიტორია და გაფრინდა თურქეთის მიმართულებით“. ოქმში, რომელსაც უგულავა აქვეყნებს, პროკურორი იმასაც განმარტავს, რომ ბრალდებულის ადვოკატ ბექა ბასილაიას 5 მარტს, 22:00 საათზე აცნობა უგულავას მიერ საგამოძიებო ნაწილში დაბარების შესახებ.

„მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს განჩინებით ბრალდებულ გიორგი უგულავას აღმკვეთი ღონისძიების სახით შერჩეული აქვს გირაო და 2014 წლის 8 იანვრის სათანადო ოქმით იგი გაფრთხილებულია იმის თაობაზე, რომ თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, გიორგი უგულავამ მაინც დატოვა საქართველოს ტერიტორია“, – წერს პროკურორი ოქმში.

სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, უგულავა ეჭვობს, რომ 12 მარტს ჩანიშნულ პროცესზე მის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნა იქნება დაყენებული.

„როგორც ამ ოქმიდან ჩანს, მთავრობა და პროკურატურა 12 მარტს ჩანიშნულ სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე კვლავ შეეცდებიან ჩემ მიმართ აღმკვეთი ღონისძიების დამძიმებას, ანუ მოითხოვენ წინასწარ პატიმრობას (მათი საქმეა, ვერ დაუშლი. ამას არც პირველად სჩადიან და, ალბათ, არც უკანასკნელად). ცინიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ჩემი „გამოძიებასთან არ თანამშრომლობის“ მაგალითად ამ ოქმში მითითებულია, რომ 6 მარტს არ გამოვცხადდი პროკურატურაში. საქმე ისაა, რომ პროკურორმა ადვოკატს 5 მარტს 22:00 საათზე აცნობა ამის შესახებ და იქვე ცინიკურად ოქმში მიუთითებს, რომ მე 5 მარტს დილით გავემგზავრე დუბლინში „ევროპის სახალხო პარტიის“ კონგრესში მონაწილეობის მისაღებად და შესაბამისად,



6 მარტს ფიზიკურად ვერ ვიქნებოდი თბილისში. თავი დავანებოთ იმ გარემოებას, რომ პროკურატურას თვეები ჰქონდა ამ საქმეზე საგამოძიებო მოქმედებებისთვის, ასევე იმ ფაქტს, რომ თუ ასე აუცილებელი იყო ჩემი გამოცხადება, საზღვარზე შეეძლოთ ეცნობებინათ და ბოლოს და ბოლოს, არ გავეშვი. ყველა სიკეთესთან ერთად, როგორც ჩანს, ჩვენს პროკურატურას გეოგრაფიაშიც უჭირს, რადგან ვერანაირად პირი ასეთ მცირე დროის ინტერვალში დუბლინიდან თბილისში ვერ მოხვდება“, – წერს უგულავა.

„მე ვბრუნდები საქართველოში, იმის მიუხედავად აღმკვეთი სახით პატიმრობას მოითხოვენ თუ გაციმბირებას. მთავრობის მხრიდან მორიგ გავეშებას მე ვუკავშირებ ორ ფაქტს: 1. ჩემს უპასუხოდ დატოვებულ განცხადებას ივანიშვილის დეიდაშვილ უჩა მამაცაშვილზე, რომ ის მინისტრ კალაძესთან ერთად უკანონო ბიზნეს სქემების დალაგებითაა დაკავებული. 2. მე ვარ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე, ხოლო „ნაცმოძრაობის“ განადგურება ივანიშვილ-ღარიბაშვილის მთავრობის დეკლარირებული და მორიგი ვერშესრულებული წინასაარჩევნო დაპირებაა. ამდენად, ჩემი ნეიტრალიზებით, ბუნებრივია, პარტიას ზიანი მიადგება მომავალ ადგილობრივ არჩევნებზე. პროკურატურის ამ განზრახვის დამადასტურებელი სხვა მასალებიც გამაჩნია, რომელთა შესახებ საუბარს უკვე საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვაპირებ“, – აღნიშნავს უგულავა. (ინტერპრესნიუსი)

# ათონელმა ბერებმა პუტინი და პატრიარქი კირილი ანათემას გადასცეს

ათონელმა ბერებმა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, პატრიარქი კირილ გუნდიაევი და რუსული ეკლესიის მსახურები ანათემას გადასცეს. ამ საკითხზე რამდენიმე უკრაინულ და რუსულ ბლოგზე 28-წუთიანი ვიდეო ვრცელდება, სადაც მღვდელმსახური სპეციალური ლოცვის წაკითხვამდე მრევლს მიმართავს და აღნიშნავს, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს და მას უამრავი მტერი ჰყავს. „ყველა ეს ადამიანი დამსახურებულად მიიღებს თავისი საქმეების გამო“, – ამბობს მღვდელმსახური. ის რუსული საპატრიარქოს ცოდვებზეც საუბრობს, პუტინსა და მის გარემოცვას კი „დამნაშავეთა დაჯგუფებას“ უწოდებს და ანათემაზე გადასაცემთა რიცხვში სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქ კირილს, რუსული ეკლესიის მღვდელმსახურებსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მოიხსენიებს.

„ამ ადამიანებს სამუდამო ტანჯვა ელით საქაო ცხოვრებაში, რასაც იმსახურებენ მართლმადიდებლური სარწმუნოების ღალატისა და მილიონობით ქრისტიანისთვის ჯოჯოხეთის მოვლენისთვის“, – ამბობს მღვდელმსახური.


მამა ზაქარიას (მანგლელი)

**რას ნიშნავს ანათემაზე გადაცემა?**

**„ალია“ კომენტარისთვის მღვდელ-მონაზონ მამა ზაქარიას (მანგლელი) დაუკავშირდა:**

– როცა ეკლესია გადასცემს ანათემაზე პირს, ეს ძალიან დიდ რამეს ნიშნავს. ეს ნიშნავს პირის განკვეთასა და სერიოზულ წყევლას. ანათემაზე გადაცემული მიდის პირდაპირ ჯოჯოხეთში, რადგანაც ის ღმერთმა შეაჩვენა და შეჩვენებულ პირს კი საქმე არ აქვს არც წმინდანებთან და არც ღმერთთან, პირი მოკვეთილი ხდება ქრისტიანული საზოგადოებიდან და ეს უძლიერესი წყევლა-კრულვაა. ეს არის უკიდურესი ზომა ეკლესიისა. ანათემას გადასცემენ მძვინვარე მწვალებლებსა და სამშობლოს მოღალატეებს. როგორ გავრცელდა ინფორმაცია, მთლიანად ათონმა გადასცა, თუ ერთმა ბერმა?

**— ინფორმაციის მიხედვით, ათონელმა ბერებმა.**

– მთლიან მთას გადაუცია. ისე, ძალიან საინტერესოა თავად ფაქტი, ეს უფრო ძველად ხდებოდა. როგორც წესი, დღეისთვის ეკლესია ამისგან თავს იკავებს ხოლმე, რადგანაც მსოფლიო მაინც გაერთიანებისკენ მიდის. მოგეხსენებათ, არსებობს ეკუმენისტური მოძრაობა, სადაც ჩვენი ეკლესიაც არის ჩართული, რაც გულისხმობს ყველა რელიგიის გაერთიანებას და ამ მოძრაობის მიხედვით, ყველა რელიგიის წარმომადგენელი: კათოლიკეები, ბუდისტები, მაჰმადიანები, იუდაისტები ერთად უნდა ლოცულობდნენ. რადგან ეს მოძრაობა არსებობს, ოფიციალურმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ თავი უნდა შეიკავოს ანათემისგან. ანათემაზე გადაცემა ხდება, როგორც წესი, დიდმარხვაში და ეს იკითხება მწვალებლებზე. მაგრამ მამა ბასილი მკალავიშვილი ხომ გაგიგიათ? ჰოდა, მამა ბასილი გადასცემდა ხოლმე ანათემას ზოგიერთ პირს: მაგალითად, მან დაწყევლა ედუარდ შევარდნაძე და თემურ მღებრიშვილი, „ომონის“ უფროსი. რაც მახსენდება ისტორიიდან, გიორგი სააკაძეა გადაცემული ანათემას, როგორც სამშობლოს მოღალატე, რახან სპარსული ჯარი შემოიყვანა საქართველოში.



**— ჩვენს ოფიციალურ ეკლესიას თუ გადაუცია ანათემისთვის რომელიმე პირი?**

– რაც ილია მეორე გახდა პატრიარქი, ანათემები არ გამოცხადებულა, რადგანაც უწმინდესი თავად იყო მსოფლიო ეკუმენისტური საბჭოს პრეზიდენტი და როგორ გამოიყენებდა ანათემას თავად? ეს წყევლა ამ სოფელშიც და იმ სოფელშიც მოქმედებს. ანუ, ხდება ადამიანის შეჩვენება, მას აქაც მოეწევა დიდი უბედურება და, თუ ეს ანათემა არ მოიხსნა მის სიცოცხლეში, წყევლა ძალაში რჩება და მისი სული მიდის ჯოჯოხეთში. ანუ, მისი სული უშუალოდ სატანას ეძლევა. ამ შემთხვევაში პუტინი გადაეცა სატანას, რომ დაისაჯოს. აგიხსნით, როგორ ხდება: ანათემაზე როცა ხდება გადაცემა, სატანას უფლება არ აქვს, რომ გულში ჩაიკრას, რადგანაც ყველაფერს აკონტროლებს ქრისტე ღმერთი. მის გარეშე ეშმაკს არ აქვს უფლება, ერთი ნაბიჯიც კი გადადგას. ძველი აღთქმიდან, არის მაგალითი, როცა ეშმაკი ეკითხება უფალს, რა დოზით ატკინოს იობს, გახსოვთ, ალბათ, შვილებს უკლავს, აუბედურებს, მაგრამ ღმერთის გარეშე ვერაფერს აკეთებს სატანა. ის ღმერთისგან იღებს კურთხევას.

**— ანუ, სატანა ღვთის ერთ-ერთი მსახურია?**

– დიახ, და ღმერთი მას ცოდვილი ადამიანის დასასჯელად იყენებს. ღმერთმა მისცა ანათემაზე გადაცემის უფლება სასულიერო პირებსაც. მისი სიტყვებია: ვისაც შეკრავთ თქვენ, ის შეკრული იქნება და ვისაც დალოცავთ, დალოცვილიო. ანუ, ეპისკოპოსმა რომ დაწყევლოს ადამიანი და შეკრას, ქრისტე ავტომატურად აკურთხებს ამ საქციელს და ის იქნება დაწყევლილი. ეს ნება ჯერ მოციქულებს მიეცათ და მერე უკვე სამღვდელოებას. ეპისკოპოსის დაწყევლილი ადამიანი ისევ ეპისკოპოსმა უნდა ახსნას.



**— და ამ შემთხვევაში პუტინი და კირილი კვლავ ათონის ბერებმა უნდა ახსნან?**

– თუ მათ სხვა ეკლესიებმა დაუსვეს საკითხი და უთხრეს, განმარტეთ, რის საფუძველზე გადაეცით ეს ადამიანები ანათემასო და მათ ეს ვერ დაასაბუთეს, ვერ მოიყვანეს რეალური მიზეზები, სხვა ეპისკოპოსებს აქვთ უფლება, შეიკრიბონ და ახსნან ანათემა. მათ შეუძლიათ, ეს თავის თავზე აიღონ.

**— ამ შემთხვევაში შეუძლია პუტინს ეპისკოპოსების მოსყიდვა და ანათემის მოხსნა?**

– პუტინს ყველას მოსყიდვა შეუძლია, შვილო, 80 მილიარდის მფლობელია არაოფიციალურად და ამ დროში ყველაფერი რომ ფულზე იყიდება, როგორ ფიქრობთ, ვერ მოისყიდის? მღვდელსაც მოისყიდი და ეპისკოპოსებსაც, ეგ არ უნდა გაგიკვირდეთ.

»» **თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბურჯანაძე დიმიტროვს გაფართოებული სამუშაო შეხვედრის გამართვისკენ მოუწოდებს



„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე ევროკავშირის ელჩს, ფილიპ დიმიტროვს მიმართავს, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის გაფართოებული სამუშაო შეხვედრა გაიმართოს.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობის“ განცხადებაშია აღნიშნული, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, არაერთი დასაბუთებული და არგუმენტირებული მოთხოვნის მიუხედავად, ხელისუფლებამ არსებული საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით არც ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა არ გაატარა.

„ინტერფრაქციული ჯგუფის ფორმატით შეთავაზებული ცვლილებების პაკეტი, რომელიც ძირეულად შეცვლიდა საარჩევნო სიების, საარჩევნო სისტემის, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების, პარტიების დაფინანსებისა და საარჩევნო დავების მომწესრიგებელ დებულებებს „ქართული ოცნების“ მიერ არ იქნა გათვალისწინებული. განსაკუთრებით საგანგაშოა დამოკიდებულება მედია სივრცესთან, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით. ხელისუფლება კვლავ უარს ამბობს, „დემოკრატიულ მოძრაობაზე“ გაავრცელოს კანონით გათვალისწინებული ის პრივილეგიები, რომელიც სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი დაფინანსების უფლებას გულისხმობს. „ქართული ოცნების“ არგუმენტები ყოვლად მიუღებელია. ფაქტია, საქმე გვაქვს ხელისუფლების პოლიტიკური ნების არარსებობასთან შეიქმნას რეალურად ჯანსაღი და თანასწორუფლებიანი საარჩევნო გარემო“, – ნათქვამია „დემოკრატიული მოძრაობის“ განცხადებაში.

ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ სამუშაო შეხვედრა აუცილებელია, რადგან მომავალი არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხის დადგომის საშიშროება რეალურად არსებობს.

„მიგვაჩნია, რომ დიპლომატიური კორპუსის კიდევ უფრო აქტიური ჩართვა ამ პროცესში შესაძლებელს გახდის დარჩენილი დროის გამოყენებას საარჩევნო გარემოს მცირედით მაინც გაუმჯობესების მიზნით“, – აღნიშნა ბურჯანაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## პროტესტის ნიშნად 2 საათით მობილურები გამორთეთო...

კამპანია „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“ მონაწილე ორგანიზაციები შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დიალოგისთვის მზად არიან. კამპანიაში ჩართული ორგანიზაციები მიესალმებიან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფარული მიყურადებისა და თვალთვალის პრობლემურ საკითხებზე უწყება სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგისთვის მზად არის.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელის, ეკა გიგაურის განცხადებით, საქართველო არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფო და შესაბამისად, ფარული მიყურადების მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა იყოს აღნიშნული კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისი. მისივე თქმით, პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი, რომელიც ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს პასუხობს.

„მართალია, ჩვენს კანონმდებლობაში წერია, რომ აუცილებლად მოსამართლის ბრძანებაა საჭირო მოსმენისთვის, თუმცა არსებულ ტექნიკაზე, რომლებიც არის მობილური ოპერატორების ოფისებში, მონიტორინგი არ ხდება, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომატურად შეუძლია მიიღოს ინფორმაცია, ისე რომ მობილურმა ოპერატორმა არც იცოდეს, ვის უსმენენ. დაშვება უნდა მოხდეს მობილური ოპერატორების მხრიდან იმ დოკუმენტაციის საფუძველზე და მოსამართლისთვის იმ ბრძანების საფუძველზე, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო წარუდგენს მათ. ასევე, უნდა განისაზღვროს, რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მოსმენა, საერთაშორისო კანონმდებლობით მიყურადება და მოსმენა ხდება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დროს. ასევე, უნდა დადგინდეს პირთა წრე, რომელსაც უნდა მოუსმინონ“, – განაცხადა გიგაურმა. (ინტერპრესნიუსი)

ოვრებ გიორგი ფოფხაძის ინტერვიუ, რომელიც თვითონ ესწრებოდა სასამართლო პროცესს: „ეს პირველ რიგში პროკურატურის ჩავარდნაა იყო... მე მინდა, თეა წულუკიანს თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო: ფრანგი პროკურორი იყო აღშფოთებული იმიტომ, რომ ქართველმა პროკურორებმა ვერ მიაწოდეს დამამტკიცებელი მასალები, რის შემდეგაც ძალიან მაღალ დონეზე დააყსაქართველოს პროკურატურის წარმომადგენელმა ილაპარაკა, იცი, როგორი მზერა ჰქონდათ? შვებით ამოისუნთქეს, სამუშაო აღარ გვაქვსო“.

ამის შემდეგ „ალიას“ აწვდიან ინფორმაციას, რომ ამ მხრივ საფრანგეთში დიდი ფულის სანაცვლოდ აქტიურად მუშაობდა მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი, შინაგან საქმეთა ყოფილი კეზერაშვილის საქმეზე იუსტიციის სამინისტრომ ძალიან ცუდად იმუშავა. კერძოდ, გაირკვა: იუსტიციის სამინისტროს მიერ საფრანგეთის პროკურატურაში გადაგზავნილი მასალები არ იყო სრულყოფილი, რამაც საფრანგეთის სასამართლოს მისცა საშუალება, ესაუბრა კეზერაშვილის საქმეში არსებულ უზუსტობებსა და დანაშაულის ნიშნების არქონაზე.

არსებობს კულუარული

ვიმეორებ: კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, უახლოეს დღეებში თეა წულუკიანის არაპროფესიონალური მოქმედებისა და კეზერაშვილის საქმეზე საფრანგეთის პროკურატურაში შესაბამისი მასალების არგადაგზავნის გამო, აუცილებლად დადგება თანამდებობიდან მისი განთავისუფლების საკითხი. წყარო არ აკონკრეტებს, კერძოდ რა არ



# უახლოეს დღეებში თეა წულუკიანს თანამდებობიდან გადააყენებენ?

როგორც „ალიას“ კონფიდენციალურმა წყარომ აცნობა, უახლოეს დღეებში დღის წესრიგში დადგება იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხი. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ 27 თებერვალს საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის ექსტრადირებაზე საფრანგეთის სასამართლომ უარი განაცხადა. ალბათ, გახსოვთ, მაშინ თეა წულუკიანი გაცოფებული გამოვარდა და ყველაფერი ფრანგ პროკურორს გადააბრალა:

„ძალიან ვწუხვარ, რომ ფრანგი მოსამართლე აღმოჩნდა ისეთი უთანასწორო პირობების წინაშე, როგორიც იყო, ერთი მხრივ, კეზერაშვილის ძვირადღირებული ადვოკატი და მეორე მხრივ, ფრანგი პროკურორი, რომელმაც, როგორც ჩანს, ძვირადღირებულ ადვოკატს ღირსეული და სათანადო კონკურენცია ვერ გაუწია. ფრანგ პროკურორს ქართველი სამართალდამცველების სახელით ევალებოდა, დაეცვა ჩვენი ინტერესი. ეს ასე ვერ მოხდა“.

ამ განცხადებისთანავე „ალიაში“ გამოქვეყნდა ჩვენი კოლეგის, საფრანგეთში მცხოვრებ... ენებდა მოთხოვნას. აქ ძვირადღირებული ადვოკატები არაფერ შუაში არ არიან, მე საკუთარი თვალით ვნახე, რომ მათ დიდი მუშაობა არ დასჭირვებიათ, ოთხიდან სამი ისე იჯდა, არც ერთს ხმა არ ამოუღია. მე არ დამავიწყდება ფრანგი პროკურორის წამოძახილი: თქვენ რაღაც სისულელეებს მელაპარაკებითო! საქართველოდან ჩამოსული პროკურორი რომ გეტყვის, ეგ ჩემი კომპეტენცია არ არის, ვერ ვერკვევი, თბილისში გადავრეკავო, რა უნდა გააკეთო? ვიმეორებ: ძვირადღირებულ ადვოკატებს იქ ისეთი არაფერი უთქვამთ, როცა მინისტრის, ეკა ზღულაძის მეუღლე, რაფაელ გლუკსმანი. სწორედ მან იზრუნა იმაზე, რომ გამოქვეყნებულიყო სტატიები საფრანგეთში და დაექირავებინა ლობისტური ჯგუფები კეზერაშვილის გამოსაშვებად. საბოლოოდ „ნაცყულაბიდან“ მის გასათავისუფლებლად 50 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

კი, ბატონო, კეზერაშვილის დამქაშებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ თავიანთი შავი ფულის ტომარა გარეთ გამოეგდოთ და ეს გამოუვიდათ კიდეც, მაგრამ სამთავრობო წრეებში უკვე იმაშიც დარწმუნდნენ, რომ ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ საფრანგეთის ელჩი საქართველოში, რენო სალენსი კორუფციული ინტერესის გამო პირადად იყო მისული იუსტიციის სამინისტროში და სთხოვა თეა წულუკიანს, მასალები, რომელიც გადაიგზავნებოდა საფრანგეთში კეზერაშვილთან დაკავშირებით, უნდა ყოფილიყო „რბილი“ და ფაქტობრივად, არაფრისმთქმელი. ეს კი საფრანგეთის პროკურატურას მისცემდა საშუალებას, არ მოეთხოვა სასამართლო პროცესზე კეზერაშვილის ექსტრადირება საქართველოში.

გადააგზავნა და რა პირობა დადო წულუკიანმა საფრანგეთის ელჩთან. მისი თქმით, იუსტიციის მინისტრმა ნება იბოძოს და ის მასალები გამოაქვეყნოს, რაც საფრანგეთის პროკურატურას გადაუგზავნა.

დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ მავანთა პატიოსნებასა და ევროპელების უმანკოებაზე, რაც სრული აბსურდია... სადაც მილიონებზეა საუბარი, იქ (ფაქტია) ქართველიც უძლურია და ფრანგიც, ბოლოს და ბოლოს, ქრთამი ხომ ჯოჯოხეთსაც კი ანათებს?!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# „ოცნების“ საარჩევნო შტაბებიდან საგანელიძის ხალხის გაშვებას მოითხოვენ

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო შტაბს ენერგეტიკის მინისტრი, კახი კალაძე უხელმძღვანელებს. მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა, კახა კუკავამ ქოში უკუღმა ყარა, ბარემ ჭიკაიძე დაენიშნათო, საქართველომ გამოიარა სამოქალაქო ომი, ჯაბა იოსელიანი, კიტოვანი, შევარდნაძე და სააკაშვილი, მე ვერ ვიხსენებ, ოდესმე მინისტრი ყოფილიყო მმართველი პარტიის საარჩევნო შტაბის უფროსიო.

მოკლედ, ასეა თუ ისე, 9 მარტს კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც ძირითადად საუბარი იყო ადგილობრივი არჩევნების შესახებ... კონკრეტულად იმაზე, როდის და როგორ უნდა დაკომპლექტდეს შტაბები თბილისსა და რეგიონებში. ირინა იმერლიშვილის ცნობით, შტაბების ფორმირებაზე უფრო კონკრეტულად პოლიტსაბჭოს მომდევნო სხდომაზე იქნება საუბარი. როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონული ორგანიზაციების წევრები ატყობინებენ „ალიას“, პირველ რიგში, შტაბები უნდა დატოვონ დავით საგანელიძის მიერ მოყვანილმა კადრებმა, რომლებიც გარიგებულები იყვნენ „ნაციონალებთან“ და ხშირ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ აქტივისტებს აბუჩად იგდებდნენ. მეტიც, ისინი ბიძინა ივანიშვილსაც დასცინოდნენ, ჩვენ რომ არა, ეგ ჩვენს ფეხებს მოიგებდაო. აქტივისტების თქმით, საგანელიძის ხელის ბიჭები ისევ ადგილებზე არიან, ოღონდ გასუსულ მდგომარეობაში... როგორც ჩანს, მათმა ყოფილმა უფროსმა ვანო მერაბიშვილის სტილის რჩევა მისცა თავის ხელქვეითებს: იყავით ჩუმად, აიტანეთ ყველაფერი და შეინარჩუნეთ თქვენი ადგილებიო. ასეთი რამ მოსული „პონტია“ ქართულ პოლიტიკაში. თუმცა, აქტივისტების თქმით, ისინი შტაბებში საგანელიძის ხალხის ყოფნას აღარ დაუშვებენ, ჯერ დაელოდებიან, რას გააკეთებს კახი კალაძე... თუ მათ დატოვებს, მაშინ აღარაფერს მოერიდებიან და ატეხენ ერთ ამბავს.

კულუარული ინფორმაციით, პოლიტსაბჭოს სხდომაზე საუბარი იყო გათავხედებული „ნაციონალების“ შესახებაც, ანუ ღირს თუ არა მათთან ღია დაპირისპირება და ყველა განცხადებაზე პასუხის გაცემა? ერთნი ამბობდნენ, რომ „ნაციონალებს“ ყველა გამოხტომაზე უნდა გაეცეთ საკადრისი პასუხი, ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ, რომ დამნაშავეებთან და კრიმინალებთან კამათი არ ღირს. მაგალითად, გია ვოლსკის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ცდილობენ, ყველაფერი პიარის ფორმატში გადაიყვანონ, რაც არაჯანსაღ სიტუაციას ქმნის ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ნაკლები დრო დაუთმონ მათ ბრალდებებს. აქ ორი მომენტია: ან კოალიციაა უძლური, საკადრისი პასუხი გასცეს „ნაცბანდას“, ან კიდევ მართლა ფიქრობენ, რომ თავიანთ „კოლეგებს“ თავი აღარ უნდა გაუყადრონ.

როგორც ამბობენ, პოლიტსაბჭოს სხდომაზე, ასევე, საუბარი იყო კოალიციის შიდა პრობლემებზე, ანუ იმაზე, რა პრობლემებიც არსებობდა საგანელიძის „მმართველობის“ პერიოდში. იაქტიურებენ და დასაქმდებიან თუ არა ადგილობრივ არჩევნებში „ქართული ოცნების“ დეპუტატები? როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი, დათო ლორთქიფანიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ამ მხრივ პრობლემები აღარ იქნება, საარჩევნო შტაბის ახალი ხელმძღვანელი მზადაა, მიიღოს მათი ინიციატივები. კონკრეტულად რა ფორმით ჩაერთვებიან ისინი არჩევნებში, ეს უახლოეს სხდომებზე გადაწყდება. ახლა მთავარია, კოალიციის საარჩევნო შტაბებში არ გაძვრნენ გადაცმული „ნაციონალები“, დანარჩენი კი რიგზე იქნება.

გია ვოლსკის თქმით, ამ სხდომაზე კახი კალაძეს „დაევალა“, შეიმუშაოს და წარმოადგინოს კონკრეტული საარჩევნო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება არა მხოლოდ შეხვედრები მოსახლეობასთან, არამედ შტაბების დაკომპლექტების სქემაც. ჯერჯერობით სხდომის მონაწილეები გახსნილად მაინც არ ლაპარაკობენ იმ მიზეზით, რომ მათი საარჩევნო კამპანიის დეტალები მაინც დაფარული უნდა იყოს „ნაციონალების“ მზაკვრული ცნობისმოყვარეობისგან. ვერაფერს იტყვი, ესეც, ალბათ, სტრატეგიაა.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# რატომ გატეხეს ჰაკერებმა პარლამენტის ვებგვერდი?

ჰაკერებმა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი უკვე მერამდენედ გატეხეს. 10 მარტს, დილით, საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ საიტი გატეხილია, ჰაკერებმა კი საიტზე ინგლისურ ენაზე შეტყობინება დატოვეს: „არ მოიწყინოთ, ჩვენ უბრალოდ „გატეხილი“ გვერდი ავტვირთეთ“. დაახლოებით დღის 3 საათისთვის პარლამენტის გვერდი უკვე ჩვეულებრივად მუშაობდა.

სამთავრობო საიტები რომ პერიოდულად ხდება ჰაკერების სამიზნე, ახალი არაა. ეს განსაკუთრებით ისეთ დროს ხდება, როცა საქართველოში, ან საქართველოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. ამჯერად კიბერშეტევა საქართველოს პარლამენტში უკრაინასთან დაკავშირებული რეზოლუციის მიღებას დაემთხვა. ერთი თვის წინაც მოხდა მსგავსი რამ – პარლამენტის საიტზე შესვლისას მომხმარებელს შავ ფონზე გამოსახული ინგლისური ტექსტი დახვდა. „ჩვენ გვიყვარს ირანი, ჩვენ არავის მტერი არ ვართ, არც ამერიკის. გთხოვთ, დაიცვათ თქვენი გვერდის უსაფრთხოება, რადგან მისი უსაფრთხოება დაცული არ არის“, – აღნიშნული იყო ტექსტში.

ყველაზე მასშტაბური კიბერშეტევა საქართველოზე 2008 წლის აგვისტოს ომის დროს განხორციელდა. 9 აგვისტოსთვის თითქმის ყველა ქართული ინტერნეტდომენი აღარ იძებნებოდა. მაშინ ჰაკერების მსხვერპლი რამდენიმე სამინისტროს, საქართველოს ბანკისა და პარლამენტის ვებგვერდი გახდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებსაიტის შინაარსი შეცვალა ჰიტლერისა და სააკაშვილის სურათებმა. 10 აგვისტოს ზოგიერთი ქართული საინფორმაციო სააგენტოს საიტი უკვე ფუნქციონირებდა, თუმცა დროდადრო ხარვეზებით. ჰაკერების ინტერესი მაშინ ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა იყო.

**„ალია“ კომენტარისთვის ინსტრუქტორ-ანალიტიკოსს სადაზვერვო და გლობალური უსაფრთხოების საკითხებში, თორნიკე შურღულაიას დაუკავშირდა:**

**— ბატონო თორნიკე, უკვე მერამდენედ გატეხეს პარლამენტის ვებგვერდი. ასეთი დაუცველები ვართ?**

– პარლამენტის ვებ-გვერდის უკვე მერამდენედ გატეხა დაცინვაა და ჩვენი კიბერუსაფრთხოების უუნარობაზე მიუთითებს. ჩვენ აღნიშნულ სფეროში განუვითარებლები ვართ, არ გვყავს არათუ კიბერსარდლობა, არამედ ელემენტარული კომპიუტერული ქსელების უსაფრთხოების დამცავი მექანიზმები და ეს უკვე პრაქტიკამ დაამტკიცა. ნებისმიერი სტრატეგიული სამინისტროს ვებგვერდი არის სამიზნე, მათი დაზიანება ნიშნავს მსოფლიო მასშტაბით უუნარობის დაფიქსირებას, რაც სახელმწიფოს მორალურად გატეხას ემსახურება. უსაფრთხოების სპეციალური სისტემები, პროტოკოლები და ალგორითმებია, რომლებიც უკვე ტექნიკური დაზვერვის კომპეტენციაშია.

**— ამას წინათ შსს-მ განაცხადა, რომ კიბერუსაფრთხოების მიმართულებით სერიოზული მუშაობა მიდის...**

– გვაქვს კი უსაფრთხოების სისტემა, რომელიც 21-ე საუკუნის გამოწვევებს პასუხობს? სპეცსამსახურები კიდევ კარგად ართმევენ თავს და ბევრ საფრთხეს ავლენენ და ანეიტრალებენ. საჭიროა უფრო ეფექტური ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების განმსაზღვრელი, კოორდინაციისა და მონიტორინგის ეფექტური სტრუქტურის შექმნა, რაზეც წელიწად-ნახევარია ვსაუბრობ.

**— ორი უშიშროების საბჭო გვყავს პრაქტიკულად, ნუთუ სპეციალისტები არ მოიძებნა, რომ ამ თემაზე იმუშაონ?**

– სულ სხვა არის საკონსულტაციო და მრჩეველთა რგოლი და სულ სხვა გახლავთ ეფექტური რგოლი, რომელიც ყოველდღიურად აანალიზებს და ავითარებს უსაფრთხოების მოდელებს. ჩვენი ბიუჯეტი არ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ამერიკის მსგავსად ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო შევქმნათ, რომელიც ტექნიკური სისტემების უსაფრთხოებაზეა ორიენტირებული ან ბრიტანეთის სახელმწიფო კომუნიკაციების სააგენტოს მსგავსი სტრუქტურა. ამიტომ ჩვენ პროგრესული სახელმწიფოების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ და მათთან უნდა ვითანამშრომლოთ, ისევე



როგორც ამერიკამ ბრიტანეთში მიავლინა თავიანთი წარმომადგენელი რომ შეესწავლა და დაენერგა უსაფრთხოების მოდელები თავის ქვეყანაში. მარტო პოლიტიკურ ოპონენტებზე სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურების შესყიდვით და გამოყენებით გარეშე საფრთხეებს არ ეშველება. არიან კომპეტენტური კადრებიც, რომლებიც მეორეხარისხოვან ტექნიკურ დავალებებს ასრულებენ. ისინი ეროვნული უსაფრთხოების გასაძლიერებლად უნდა იქნან გამოყენებულნი. არიან კადრები, დამერწმუნეთ. უნდა გარდაიქმნას უშიშროებისა და უსაფრთხოების საბჭოები და მათ მხოლოდ უმაღლესი პოლიტიკური პირებისთვის ყოველდღიური ანალიტიკური ანგარიშების მიწოდება და ზოგადი რჩევები უნდა მისცენ, ხოლო ეფექტური მოქმედებებისთვის ახალი სტრუქტურაა დასანერგი.

**— რამე სახის ინფორმაციების დაბლოკვის ინტერესი აქვთ ამ ჰაკერებს?**

– მათ აღნიშნულ ეტაპზე თავიანთი ძალისა და სახელმწიფოს უძლურების დემონსტრირება დააფიქსირეს. თუ ჩვეულებრივი ჰაკერები ასე ადვილად აღწევენ ჩვენს კიბერსივრცეში, რას მოახდენს რუსეთის, ჩინეთის და ან ჩრდილოეთ კორეის ტექნიკური დაზვერვა, წარმოიდგინეთ. ამ შემთხვევაში თავიანთ შესაძლებლობებს აფიქსირებენ ჰაკერები, ან პანიკის დათესვას ლამობენ.

**„ალია“ პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს ნიკო ნერგაძეს დაუკავშირდა:**

**— ასე ხშირად რომ ტეხენ პარლამენტის გვერდს, რით ვეღარ მოაბით თავი, რომ უფრო დაცული იყოს?**

– ინფორმაცია თქვენგან გავიგე პირველად და პარლამენტში ჯერ ამ ინფორმაციას არ ფლობენ. ვერ ვუკავშირდებით ჩვენს „აიტი“ სამსახურს, ეჭვი მაქვს, რომ საერთოდ არც იყო დაჰაკული და რაღაც სხვა მოხდა.

**— სხვა რა უნდა მომხდარიყო, ტექსტიც დაგიტოვეს...**

– მე ვფიქრობ, რომ საიტი ძალიან დაუცველია და ადვილად ტყდება. ახლა ვმუშაობთ და შემდეგ კვირას გვექნება ახალი საიტის პრეზენტაცია. ჩვენი „აიტის“ უფროსი საავადმყოფოშია და ნამდვილად არ ვიცი, ამჯერად რა მოხდა.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროფესიულ სასწავლებლებზე თანხები არაეფექტურად იხარჯებაო...



სახელმწიფო აუდიტის სამსახურს პროფესიულ სასწავლებლებთან დაკავშირებით კითხვები აქვს, რის კონტექსტშიც თანხების არაეფექტურ ხარჯვაზე საუბრობს. შესაბამისი შინაარსისაა აღნიშნული სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2010-2012 წლებსა და 2013 წლის პირველ ნახევარში პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების, მისი პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესწავლის შედეგად მომზადებული დასკვნა.

როგორც დასკვნაშია აღნიშნული, ვაუჩერის გაცემის სისტემის ნაკლოვანებებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების (თითქმის 2 მილიონი ლარი) არაეფექტიანად გახარჯვა (საიდანაც დაახლოებით 860 ათასი ლარი არამიზნობრივ ხარჯად უნდა ჩაითვალოს).

„ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კერძო სექტორის ჩართულობა არ არის უზრუნველყოფილი. კერძოდ, გაუმართავია მონაცემთა ბაზა, არ არის სრულყოფილი ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ. არ არის საკმარისი კომუნიკაცია სამინისტროსა და პოტენციურ დამსაქმებლებს (კერძო სექტორის სუბიექტებს) შორის.

არარაციონალურია დაფინანსების სისტემა – სასწავლებლებზე თანხების გადანაწილება ხდებოდა არაოპტიმალურად, ვაუჩერის ფიქსირებული ხასიათის გამო სასწავლებლებზე გაცემული თანხები არ შეესაბამებოდა მათ რეალურ საჭიროებებს; ვაუჩერის გაცემის სისტემის ნაკლოვანებებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების (თითქმის 2 მილიონი ლარი) არაეფექტიანად გახარჯვა (საიდანაც დაახლოებით 860 ათასი ლარი არამიზნობრივ ხარჯად უნდა ჩაითვალოს)“, – ნათქვამია ანგარიშში.

გარდა ამისა, ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის განმარტებით, ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ შრომის ბაზარზე არსებული ინფორმაციის სიმწირის გამო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვერ უზრუნველყოფდა მის მიერვე განსაზღვრული პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან...

გარდა ამისა, უწყების დასკვნით, საქართველოში მოქმედი პროფესიული სტანდარტები და მის საფუძველზე შემუშავებული სასწავლო პროგრამები (კურიკულუმები) არის ძალიან ზოგადი და არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას სასწავლო კურსისა და სტუდენტის მიერ მისაღები პროფესიული უნარ-ჩვევების შესახებ.

„ასევე კრედიტების სისტემა არ არის სტანდარტიზებული და უნიფიცირებული (გიდის პროფესიის დაუფლებას ზოგ სასწავლებელში 36 კრედიტი სჭირდება, ზოგან კი 40 კრედიტია აუცილებელი), რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის მოქნილობასა და თანაბარი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ორიენტირებულია ზოგად და არაპროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე (პროფესიულ უნარ-ჩვევებზე გადამზადდა სულ 7 პედაგოგი, რაც გადამზადებული მასწავლებლების 1%-იც არ არის)“, – აცხადებენ ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტში.

აღსანიშნავია, რომ გასული 5 წლის განმავლობაში, პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე 50 მილიონ ლარზე მეტია გახარჯული. (ინტერპრესნიუსი)

## სტადიონზე ჩხუბის მონაწილეები დააჯარიმეს

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ




„ტორპედოს“ გულშემატკივრები 100 ლარიდან 500 ლარამდე დააჯარიმა. ამის მიზეზი, 8 მარტს, სტადიონზე მომხდარი ინციდენტი გახდა. ქუთაისის „ტორპედოს“ გულშემატკივრები სტადიონზე შეიჭრნენ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს დაუპირისპირდნენ. მათი შეჩერება პოლიციამ ვერ შეძლო. ინციდენტის შედეგად ფეხბურთის მატჩიც ჩაიშალა.

აღნიშნული ინციდენტის გამო, პოლიციამ 16 გულშემატკივარი წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავა. (ინტერპრესნიუსი)



# ვისი დავალებით „ჩაუშვა“ მიხეილ სააკაშვილმა ევროპელი ლიდერები?!

10 მარტს ამერიკულმა გამოცემამ, „ვაშინგტონ პოსტმა“ მიხეილ სააკაშვილის წერილი გამოაქვეყნა, სადაც ის წერს, როგორ ზეწოლას განიცდიდა 2008 წლის ივლისში საქართველოს მთავრობა. პრინციპში, სააკაშვილის წერილი არის „აღიარებითი ჩვენებაც“ და ევროპის „ჩაშვებაც“ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე. როგორც ჩანს, მას ამერიკელმა „მამებმა“ დაავალეს, რუსეთის მიმართ ევროპის ქვეყნების დღევანდელ შერბილებულ პოზიციას სილა გააწნას. მიშას მიერ გაწნული სილა არ გაიშვა მსოფლიო პოლიტიკაში, მაგრამ თუ მის სატელევიზიო გამოსვლებსა და „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ წერილს გავითვალისწინებთ, აშკარად ჩანს, რომ სააკაშვილს ბევრ ფულს აყრიან და ამერიკელები სათავიანთოდაც „ეფექტურად“ იყენებენ:

„რუსეთი პროვოკაციებს აწყობდა ქვეყნის ორ რეგიონში და სამხედრო ძალებს აგროვებდა ჩვენს საზღვართან. თითქმის ყველა დასავლელი პოლიტიკოსი, ვისაც იმ დღეებში ჩემი მთავრობა წუხილით მიმართავდა, აცხადებდა, რომ რუსეთი არ შემოგვიტევდა. ისინი სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოგვიწოდებდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ რუსეთის ნაბიჯებზე რეაგირება არ მოგვეხდინა... რამდენიმე კვირაში, ათობით ათასმა რუსმა სამხედრომ ჩვენი საზღვარი გადმოლახა, და თვითმფრინავებმა დაიწყეს ჩვენი დაბომბვა ოცდაოთხსაათიან რეჟიმში. მართალია, ვლადიმერ პუტინმა ვერ მიაღწია თავის საბოლოო მიზანს, და ვერ აიღო საქართველოს დედაქალაქი – თბილისი, თუმცა მის არმიას დღემდე ოკუპირებული აქვს ჩემი ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედი.

საოცარი მსგავსებაა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის ადრეულ სტადიასა და იმას შორის, რაც დღეს უკრაინაში ხდება. როდესაც მიმდინარე მოვლენებსა და ამ მოვლენებზე საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხს ვაკვირდები, ვფიქრობ ისტორიაზე, რომელიც მეორდება, და აგრესიის სხვა შემთხვევებზე ევროპაში... რატომ უნდა აღელვებდეს დასავლეთს ის, რაც უკრაინაში ხდება? ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ იმას, როგორ იხლიჩება ევროპის ყველაზე დიდი ქვეყანა, არამედ ცივი ომის შემდგომი წესრიგის ნგრევას ევროპაში. ხუთშაბათს, აშშ-ის მიერ დაანონსებული სანქციები კარგი პირველი ნაბიჯია. ის უმალ უნდა განხორციელდეს, ევროპამაც უნდა გააძლიეროს მისი პასუხი. უკრაინას, საქართველოს და მოლდოვას ევროკავშირში გაწევრიანების უმოკლესი გზა უნდა შესთავაზონ და მისცენ მათ ნატოში წევრობის სამოქმედო გეგმა, რათა რუსეთმა დაინახოს, რომ უკანონო გზებით ის ვერაფერს მიაღწევს“.

სააკაშვილის წერილი საკმაოდ ვრცელია, ის კარგა ხანს ბოდიალობს ისტორიულ წიაღსვლებში და ამტკიცებს, რომ დღევანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს იმ პერიოდს, როცა გერმანიამ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. მიშამ იცის, რომ ამის შეხსენება ევროპისთვის მაინც მტკივნეულია და თავისი ჭკუით, ევროპას ფეხს ადგამს 70 წლის წინათ მიყენებულ ჭრილობაზე.

**როგორც პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ეს ყველაფერი მოდის სააკაშვილის ამერიკელი „მამებისგან“:**

– ეს ფულიანი სტატიებია და ასევე ფულიანი გამოსვლები. მე ამ შემთხვევაში უკრაინის მხარეს გამოვრიცხავ, მიშას ამერიკაში დიდი კავშირები აქვს, ჩვენ ერთი მაკკეინი ვიცით, მაგრამ მაგას კიდევ ჰყავს პატრონები. სულ მაღალზე არა, მაგრამ საშუალოზე ცოტა მაღალ დონეზე გადის. ლობისტებიც ჰყავს და გარკვეულ წრეებში გავლენებიც აქვს. მიშას მაინც აქვს თავისი რაღაც ქარიზმა, ენებიც იცის, 9 წელი ქვეყნის პრეზიდენტი იყო, თანაც რუსეთის აგრესიის მსხვერპლი და ამიტომაც იყენებენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამერიკელებს ჰყავთ რუსეთის აგრესიის ცოცხალი მსხვერპლი. ეგ არ ჰგავს ჩვენს ჩლიფინა პარლამენტარებს, ოღონდ ტრიბუნასთან მიუშვი და საკუთარ თავს მსოფლიო ლიდერად წარმოგიჩენს.

**— ამ შემთხვევაში მიშა პირდაპირ ურტყამს ევროპას, მაგათი ბრალი იყო, რუსეთი თავს რომ დაგვესხა, ეგენი მეუბნებოდნენ, პუტინი არაფერს იზამსო.**

– კი, კი, ახლა ცდილობს, სრული „აბაროტი“ აუღოს ევროპას და „ჩაუშვას“. ახლა პუტინმა მიშას ხელში მისცა კოზირი, ეს გამოდის და ლაპარაკობს, ახლაც მე ვარ, უკრაინაშიც მე ვიწყებ ომსო?



**— გამოდის, ამერიკელებმა პუტინს ისევ მიშა მიუსიეს?**

– კი, ახლა სააკაშვილი ცდილობს, პუტინს საქმე გაუფუჭოს. რა გამოუვა, ეგ სხვა საკითხია. მიშა ამჯერად გასულია ქართული ორბიტიდან, მაგრამ იქიდან ისევ იმზადებს პოზიციებს. მოვა დრო და დაიწყებს ქართულ ორბიტაზე დაბრუნებას. არტურ კონან-დოილის თქმისა არ იყოს: ჩემი გარდაცვალების ცნობა ცოტა გადაჭარბებული აღმოჩნდაო, შეიძლება მიშას შემთხვევაშიც ასე მოხდეს. თუ ჩვენი ხელისუფლება ასე გააგრძელებს, ნურაფერს გამორიცხავ... ორი დღის წინ „კინოს სახლში“ ყოფილი პოლიტპატიმრების ყრილობა იყო, სამასამდე კაცი შეიკრიბა და ამ ხელისუფლებას სულ დედის ტრ... აგინა. ისევ კოჰაბიტაციაა, სამართლიანობის აღდგენას საშველი არ დაადგა, ისევ „ნაცმოძრაობა“ „გულაობსო“. გარდა ამისა, ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ეკონომიკური სიძნელეები, რაც წინ გველოდება ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ. როგორც პატარძალს პირველ ღამეს ის არ ასცდება, ისე ჩვენ არ აგვცდება ეკონომიკური კრიზისი. ხელისუფლებას მოუწევს ძალიან მაგარი მუშაობა... თუ ახლა ამათ ისევ გააგრძელეს 100-100 კილო ყავის სმა და ჩიტებზე ლექსების წერა, მაშინ სააკაშვილი თავისას იზამს, აბა, რა?! თან დააკვირდი, ამერიკელები ცოტა გამწარებულები არიან, ევროპელები რუსეთთან მიმართებაში „ზადნის“ აძლევენ, პუტინს უკვე ეხვეწებიან, დავსხდეთ, ვილაპარაკოთ, რუსეთის ყველა ინტერესს დავაკმაყოფილებთ ყირიმშიო. არადა, პუტინმა მანქანა უკვე დაქოქა, ამდენი ფული ჩაყარა, ყურებზე დგას მთელი ყირიმი, აცხადებენ, 16 მარტს რეფერენდუმს ვატარებთო. რუსეთი ყირიმს ვერ დათმობს და ვერც გადაყლაპავს, ყელში აქვს გაჩხერილი, ახლა ამით თუ ვინმეს შეუძლია, რომ ისარგებლოს, ერთ-ერთი მათგანი სააკაშვილია.

**— გამოდის, მიშა უკვე საშიში ბომბია.**

– გამოწვევები არის, მაგრამ ვიმეორებ: ყველაფერი მაინც დამოკიდებულია ჩვენს ხელისუფლებაზე, ამათ უნდა დაამთავრონ კოჰაბიტაცია და „ნაციონალები“ გახვეტონ, მაგრამ ამის უფლებასაც არ აძლევენ. თუმცა ვინც დაჭერილი ჰყავთ, იმათაც ვერ უმტკიცებენ დანაშაულს. ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი მაინც სოციალურ-ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებაა, კადრების სწორად შერჩევა... ერთ მაგალითს გეტყვი, ამ დღეებში სიმონ კილაძე მისულა პაატა ზაქარეიშვილის სამსახურში, რეინტეგრაციის სამინისტროში და უთქვამს, მშიერი ვკვდები, დარაჯად მაინც დამასაქმეთო და იცი, რა პასუხი გაუციათ? რას ამბობ, შენი წარსულის გამო „ნაციონალები“ „რესპუბლიკელებს“ ერთ ამბავს აგვიტეხენო. აჰა, ესეც ერთი მაგალითი იმისა, როგორ არიან ესენი გარიგებულები „ნაციონალებთან“, ჩვენ ყველამ ხომ ვიცით, რომ სიმონ კილაძეს ტყუილად დააბრალეს ჯაშუშობა? თურმე კილაძე რომ დაასაქმონ, აკოებსა და მაკოებს ეწყინებათ...

»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ავსტრალიაში საქართველოს საელჩოს დაფარვის არეალში ვანუატუც მოექცევა




ავსტრალიაში საქართველოს საელჩოს დაფარვის არეალში ამიერიდან ვანუატუც მოექცევა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საქართველოს საელჩოს ავსტრალიის თანამეგობრობაში, რომელიც ასევე აკრედიტებულია ახალ ზელანდიაში, სამოასა და ფიჯის რესპუბლიკაში, კიდევ ორი სახელმწიფო – ვანუატუ და სოლომონის კუნძულები დაემატა.

საქართველომ და ვანუატუმ, რომელმაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჯერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, შემდეგ კი ეს აღიარება უკან წაიღო, 2013 წლის 12 ივლისს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს, რითაც ვანუატუმ აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით. (ინტერპრესნიუსი)

## ახალაიას საჩივრის განხილვა გადაიდო



ე.წ. შვიდი სპეცრაზმელის წამების საქმეზე ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების წინააღმდეგ საჩივრის განხილვა სააპელაციო სასამართლოში გადაიდო. დაცვის მხარემ დასკვნითი სიტყვა წარმოადგინა, რის შემდეგაც, პროცესი ბრალდების მხარის რეპლიკის ეტაპით უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა პროკურორებმა აღნიშნეს, რომ რეპლიკის ეტაპისთვის მზად არ არიან.

მოსამართლემ პროცესი განუსაზღვრელი ვადით გადადო და შემდეგი პროცესის თარიღი შესაბამისად, ცნობილი არ არის.

პროცესის დასრულების შემდეგ ბაჩო ახალაიას ადვოკატმა რომეო საჯაიამ განაცხადა, რომ პროკურატურა პროცესების გაწელვას შეგნებულად ცდილობს, იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოზე რაიმე სახის ზეწოლა მოახდინოს.

„მესამე წელი დაიწყო, რაც ეს საქმე აქვთ წარმოებაში. დღემდე პროკურორები ვერ მოემზადნენ და ვერც მოემზადებიან, ვინაიდან ამ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. ეს არის დროის გაწელვის მცდელობა, რომ სასამართლოზე რაიმე საფუძვლებით ზეწოლა მოახდინონ და მიაღწიონ სასურველ შედეგს. მესამე წელია, საქმის წარმოება მიმდინარეობს და პროკურორები აცხადებენ, რომ ისინი არ არიან სიტყვისთვის მზად“, – განაცხადა საჯაიამ.

პროკურორ სალომე ჯანუაშვილის თქმით კი, რეპლიკის ეტაპისთვის ბრალდების მხარეს დაახლოებით 40 წუთი დასჭირდება, თუმცა მოსამართლემ პროცესი საკუთარი გრაფიკიდან გამომდინარე, განუსაზღვრელი ვადით გადადო. პროკურორი დარწმუნებულია, რომ საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, რომელიც ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების მიმართ დადგა, სააპელაციოში შეიცვლება.

„ბრალდების მხარეს წარმოდგენილი აქვს მტკიცებულებები და საქმეზე უნდა დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი“, – განაცხადა პროკურორმა.

ე.წ. შვიდი სპეცრაზმელის საქმეზე ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებული 7 პირის მიმართ საქალაქო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. აღნიშნული განაჩენი პროკურატურამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულებს ბრალად 7 სპეცრაზმელის განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, იალღუჯას საწვრთნელ ბაზაზე წამებაში ედებოდათ ბრალი. (ინტერპრესნიუსი)

**თამარ ჩორგოლეიშვილი სააგენტო ''პირველისა'' და ''ალიას'' შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.**

თამარ ჩორგოლეიშვილი საკუთარი"„ფეისბუქის"'გვერდზე ჟურნალ „ალიას“ **(„ალია“: მართალია ჩორგოლეიშვილი, „ჟურნალი“ ამ ახალი „მეოცნებეებისთვის“ არის „ალია“, ვილს „ახლო ურთიერთობის“ „აღმოჩენა“ იმისთვის დასჭირდა, რომ „დაამტკიცოს“, 1. რომ „ალია“ ხელისუფლებასთან შეკრულია და 2. რადგან „პირველის“ ხელმძღვანელი „ალიას“ ყოფილი რედაქტორი ტიკარაძეა, ლოგიკურად, სააგენტო „ალიასი“ ყოფილა... ეტყობა, ეს კონკრეტუკეზერაშვილის დროს ფინანსურ პოლიციაში გადავიდა. მათე კირვალიძე, ასევე „ალიას“ ყოფილი რედაქტორი ჯერ „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, ახლა კი „პირველი რადიოს“ შეფია. ასევე, მაგ ლოგიკით ქუთაისს ვაკონტროლებდით, ყოფილი „ალიელით“, ბესო გულორასეთი კიდევ არაერთია, მაგრამ რაც ჩამოვთვალეთ, საკმარისზე მეტია და თუ ეს ასეა, ყოჩაღ „ალიას“).**

ევროკომისარი ფულეს ვიზიტის შემდეგ, ალიამ გამოაქვეყნა სტატია სადაც კონფიდენციალურ წყაროზე დაყრნობით იუწყებოდა, რომ ევროკავშირის ელჩი, ფილიპ დიმიტროვი არის ჰომოსექსუ**ლი“? „ალია“ და „ქრონიკა“ ჯერ ქსელში კარგად გასულიც არ არის, როცა ხშირად მთელი ინტერნეტ სივრცე მათი მასალებით არის აჭრელებული. ბევრ გაზეთს ეს შეიძლება უხაროდეს და უფასო რეკლამად თვლიდეს, მაგრამ „ალია“-„ქრონიკის“ რეალიზაციისთვის ეს წამგებიანია).**

ტუსს გამოეხმაურა სააგენტო „პრაიმერი“ „პირველის“ გენერალური დირექტორს დიმიტრი ტიკარაძეს კომენტარისთვის დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, „კომენტარის გაკეთებას და ჩორგოლეიშვილთან პოლემიკაში შესვლას, ნამდვილად არ ვაპირებ“-ო.

„ტიკარაძისგან განსხვავე-

# რატომ არის „ალია“ და „ქრონიკა“ „ოცნების“ ხელისუფლებისთვის ჯერ ჟურნალი, შევარდნაძის და „ნაცებისთვის“ კი უკვე მრავალსერიიანი დოკუმენტური კინო?

**თორემ შევარდნაძის და „ნაციონალებისთვის“ დიდი ხანია კინოდ იქცა, მრავალსერიიან დრამატულ, დოკუმენტურ კინოდ!)** რედაქტორსა და სააგენტო პირველის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

ის რაც აუცილებლად დააინტერესებს ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში: ჩემი ინფორმაციით, ალიას რედაქტორი, დიმიტრი ტიკარაძე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გადავიდა სამუშაოდ შინაგან საქმეთა სამინისტროში. რამდენიმე თვეში მან დატოვა ეს უწყება და იყიდა ქართული ოცნების წევრის, პარლამენტარი ანი მიროტაძის საინფორმაციო სააგენტო პირველი **(„ალია“: ჩორგოლეიშვილი თავად წერს, რომ ტიკარაძე 2012 წლის არჩევნების შემდეგ წავიდა „ალიადან“ და მაინც მის რედაქტორად მოიხსენიებს?!).** ჩემი წყაროები ადასტურებენ, რომ ხელისუფლებას, ალიას და სააგენტო პირველს ძალიან ახლო ურთიერთობა აქვთ. იგივე დასტურდება ფაქტების ანალიზითაც **(„ალია“: როდესაც ადამიანი შენთან წლებია მუშაობს, მასთან, ბუნებრივია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მასთან რაღაც ფორმით ურთიერთობას ინარჩუნებ. მაგრამ ჩორგოლეიშვილი წინადადება დამოუკიდებლად დაწერა ჩორგოლეიშვილმა, თორემ გიგა ბოკერია ამ სისულელეს არ დააწერინებდა. მას ყველაფერი შეიძლება დააბრალო, ალოგიკურობას კი არ უჩივის. ჩორგოლეიშვილის ლოგიკით, კი „ალიას“ უდიდესი „პირველი“ რა მოსატანია, ისეთი „შეიარაღება“ აქვს – თუ ასე გავყვებით, ტელეკომპანია „იმედიც“ „ალიასი“ გამოდის, რადგან მისი გენდირექტორი რევაზ საყევარიშვილიც „ალიაში“ რედაქტორობდა, „ალიასი“ გამოდის „მაესტროც“, რადგან თეონა გეგელია „ალიაში“ კულტურის განყოფილებას რედაქტორობდა, ასევე, გაზეთი „პრაიმ ტაიმიც“, რადგან ყოფილი „ალიელი“ ქეთი ხატიაშვილიც რედაქტორობდა პოლიტიკას და გაზეთს; იგივე გამოდის უზენაესი სასამართლოს პრესცენტრის ხელმძღვანელ ნანა ვასაძეზე, რომელიც „ალიას“ კრიმინალური განყოფილების რედაქტორი იყო, ხოლო თეა რუსიტაშვილი, რომელიც „ალიას“ საგამოძიებო ბიუროს რედაქტორობდა,**


ალია რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge პოლიტიკა

თამბაქოს მწარმოებლებს შეღავათს უწესებენ

„ნაციონალების“ გადაბირებული გავლენიანი უცხოელები

**დავას ხელით – შემდგომში ქუთაისის მერი. პარლამენტსაც „ვაკონტროლებთ“ და „ოცნებასაც“ – ყოფილი „ალიელი“ ოთარ ჩრდილელი „ოცნების“ დეპუტატია. ჩორგოლეიშვილისვე ლოგიკით ვაჭრობის ბიზნესიც ჰქონია, რადგან ყოფილი „ალიელი“ რედაქტორი ბადრი კოპლატაძით აკონტროლებს „ოკეის“ მაღაზიათა ქსელს.**

ალი, ნაციონალურ მოძრაობას აქვს მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები და ბოკერია აშანტაჟებს მას იმ მიზნით, რომ ნაციონალური მოძრაობის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ალიას სტატია მომენტალურად აიტაცა სააგენტო პირველმა **(„ალია“: მარტო სააგენტო „პირვე-**

საგულისხმოა ისიც, რომ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, ტაბულას ჟურნალისტს, ნინო მაჭარაშვილს პირადად უთხრა ფულემ (ცხადია სხვა ჟურნალისტების თანდასწრებით), რომ პირადად ირაკლი ღარიბაშვილს გაუზიარა მისი წუხილი თვითმმართველობის არჩევნების წინ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების დევნის გამო“.'– წერს თამარ ჩორგოლეიშვილი.

**(„ალია“: გაუგებარია, რა მიზნით „ჩააკვეხა“ ჩერგოლეიშვილმა ფულე, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ უნდა იდევნებოდეს კი არა, რომ არა „ნაცების“ დასავლელი მფარველები, ქართული საზოგადოებისთვის ის კაი ხანი გასამართლებული და აკრძალული უნდა იყოს, როგორც პარტია, რომელმაც წლების მანძილზე ბევრი საშინელება ჩაიდინა. ამიტომაც ამოუვიდა ხალხს ყელში და არჩევნებზე ის მიიღეს, რასაც იმსახურებდნენ).**

ჩორგოლეიშვილის სტაბით, ჯერ პასუხი არ აქვს „ალიას“ რედაქტორს თამაზ ბესტავაშვილს, რომელიც „შეხვედრისა და მოთათბირების“ შემდეგ გააკეთებს შეფასებას. ვისთან გაივლის კონსულტაციას „ალია-ჰოლდინგის“ რედაქცია, ბესტავაშვილს არ დაუკონკრეტებია“. რა უნდა ვიგულისხმოთ „შეხვედრასა და მოთათბირებაში“? „პრაიმერის“ შეფმა, ელისო კილაძემ, რომელიც ასევე ყოფილი „ალიელია“, კი იცის, რომ კონსულტაციებს „ალიას“ და „ქრონიკის“ რედაქტორები გამომცემელთან, გიორგი ბრეგვაძესთან გადიან ხოლმე, რაც ბუნებრივი მუშა პროცესია, მაგრამ ინტრიგა ხომ უნდა „შემოეგდო“?

**გთავაზობთ 2013 წლის 25 დეკემბრის (№174) და 2014 წლის 7 მარტის (№35) პუბლიკაციებს, რომელთა გამოც ჩორგოლეიშვილმა ერთი ამბავი ატეხა.**

## ნაციონალების“ გადაბირებული გავლენიანი უცხოელები

ფილიპ დიმიტროვი, ჩვენი ევროკავშირელი „ძმა და მეგობარი“, მომენტს არ უშვებს ხელიდან, ჭკუაზე არ დაგვარიგოს. ეს კაცი ევროკავ-

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობა“ სანქციებს მხარდაჭერას უცხადებს




„ნაციონალური მოძრაობა“ რუსეთის წინააღმდეგ „თავისუფალი სამყაროს ლიდერი სახელმწიფოების“ მიერ შემუშავებულ სანქციებს სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

„უკრაინის კრიზისთან დაკავშირებული განცხადებების თანახმად, თავისუფალი სამყაროს ლიდერები მიიჩნევენ, რომ რუსეთის ძალადობა საერთაშორისო სამართალზე მოახდენს ამ ქვეყნის იზოლაციას საერთაშორისო თანამეგობრობისგან, ხოლო ამერიკელი სამხედროები მზად არიან, მხარი დაუჭირონ უკრაინასა და თავის მოკავშირეებს ევროპაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ და ევროპულმა სახელმწიფოებმა გამოაქვეყნეს სანქციების პირველი პაკეტი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომლის მიზანია ამ ქვეყნის მხრიდან სუვერენული უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო აგრესიისა და ინტერვენციის შეწყვეტა.

სანქციები მოიცავს: უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაზე პასუხისმგებელ პირთა წინააღმდეგ პერსონალურ სავიზო და ფინანსურ შეზღუდვებს; ევროკავშირის მხრიდან რუსეთთან ვიზის ლიბერალიზაციის და სავაჭრო შეთანხმებების შეჩერებას; რუსეთისთვის დიდი რვიანის დაგეგმილ შეხვედრაში მონაწილეობაზე უარის თქმას.

ევროკავშირის საბჭოს (წევრი სახელმწიფოების და მთავრობის მეთაურები) გადაწყვეტილებით, რუსეთის სამხედრო აგრესიის გაგრძელება გამოიწვევს რუსეთისთვის უმძიმეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებს.

როგორც ცნობილია, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ გასულ კვირას უარყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ პარლამენტში წარდგენილი რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმული იყო რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედებული სანქციების სრული მხარდაჭერა. „ქართული ოცნების“ უპასუხისმგებლო პოზიციის გამო, საქართველო იზოლირებული აღმოჩნდა ცივილიზებული სამყაროს ერთიანი ძალისხმევისგან და არ გამოხატა პრინციპული სახელმწიფოებრივი პოზიცია უმნიშვნელოვანეს საკითხზე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და დეოკუპაციის პრობლემის წარმატებულ გადაჭრას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სრულ მხარდაჭერას უცხადებს თავისუფალი სამყაროს ლიდერ სახელმწიფოებს, მათ მიერ შემუშავებულ სანქციებს და მოკავშირეთა უსაფრთხოების გაძლიერებისკენ მიმართულ ქმედით ნაბიჯებს, რომელთა მიზანია რუსეთის აგრესიული ქმედებების აღკვეთა როგორც უკრაინის, ისე საქართველოს წინააღმდეგ“, – ნათქვამია „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## „მეცხრე არხის“ ლიცენზია უქმდება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ თანამგზავრული სისტემების გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაუქმების მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

კომისიის ცნობით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძვლად ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ დირექტორის ლუბა ელიაშვილის 2013 წლის 19 აგვისტოს განცხადება დაედო საფუძვლად. ტელეკომპანიის ხელმძღვანელმა საზოგადოებას არხის დახურვის გადაწყვეტილების შესახებ ამცნო და ამავე დღის 21:00 საათზე „მეცხრე არხმა“ მაუწყებლობა შეწყვიტა.

როგორც კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის შეწყვეტა წელიწადში ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით, ან ერთი წლის განმავლობაში 120 დღით, ლიცენზიის გაუქმების საფუძველი ხდება. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



შირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელია საქართველოში და თავს უფლებას აძლევს, ბრძნული გამომეტყველებით გვმწყემსოს. მაგალითად, მან ერთ-ერთი ქართულენოვანი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ასეთი რამ გვითხრა:

„არავინ გაიძულებთ გეი-ქორწინებების ლეგალიზებას ევროკავშირში მოსახვედრად, მით უმეტეს, რომ ასეთი ქორწინებები თვით ევროკავშირის მხოლოდ ზოგ ქვეყანაშია დაშვებული. მაგრამ, ამავე დროს, საქართველომ უნდა გააცნობიეროს, რომ ჰომოსექსუალიზმი დანაშაული არ არის და ამ საკითხს გაგებით მოეკიდოს... თქვენ შეიძლება გქონდეთ თქვენი ინტელექტუალური და რელიგიური არგუმენტები იმის შესახებ, თუ რატომ არის ეს ცუდი, მაგრამ უნდა შეეგუოთ იმას, რომ ასეთი ადამიანები არსებობენ“.

არა, გეი-ქორწინებების ლეგალიზებას არავინ გთხოვთ, მაგრამ ამას მაინც ვერ ასცდებით, უნდა გააცნობიეროთ, რომ ჰომოსექსუალიზმი დანაშაული არ არის, „პედერასტიზმი“ მაინც უნდა აღიაროთო.

მისი ასეთი განცხადებების შემდეგ „ალიას“ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი დაუკავშირდა და განუცხადა, რომ დიმიტროვს სულ სხვა რამე აწუხებს:

„ფილიპ დიმიტროვი თავად არის ჰომოსექსუალი... თავის დროზე „ნაციონალებმა“ მაგას გადაუღეს ფარული ვიდეოები და შემდეგ „დაავერბოვკეს“, ანუ მთლიანად აკონტროლებდნენ (ამ თემაზე „ალია“-„ქრონიკა“ ადრეც წერდა, მაგრამ მაშინ გვარები არ დაგვისახელებია. – გ.ზ.). შანტაჟის გარდა, მას შესთავაზეს ძალიან დიდი ფული. სხვათა შორის, არა მხოლოდ ჰომოსექსუალია, ბავშვების მიმართაც აქვს მიდრეკილებები. სწორედ ფილიპ დიმიტროვის ინიციატივა იყო, როცა ქართულ სკოლებში წიგნები შეიტანეს სექსუალური განათლების შესახებ. ამაზე ერთი ამბავი ატყდა საზოგადოებაში, მაგრამ დიმიტროვი საერთოდ არ გამოჩენილა.

ახლა ეს ტიპი უკვე აშკარად ეწევა ალვირახსნილ პროპაგანდას და იძახის, ჰომოსექსუალიზმი დანაშაული არ არის, ამ საკითხს გაგებით უნდა მოეკიდოთო. „ნაციონალები“ მას დღემდე აკონტროლებენ და მათთვის საჭირო განცხადებებსაც აკეთებინებენ... სწორედ ასე გააკეთებინეს გიგი უგულავასთან დაკავშირებით განცხადება. ის იძახის, არჩეული მერის გადაყენების ფაქტი შესასწავლია, ეს მხოლოდ იმპიჩმენტის პროცედურით უნდა მომხდარიყოო“.

ინკოგნიტო წყარო ასევე გვირჩევს, შევიდეთ ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებ-გვერდზე და ვნახოთ, რას წერს ფილიპ დიმიტროვი საქართველოში გადმორიცხული თანხების შესახებ... ის წერს, რომ 1992-2007 წლებში ევროკავშირმა საქართველოს 530.8 მილიონი ევროს ოდენობის დახმარება გაუწია. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი – 500 მილიონის. 2010 წლის აპრილში ევროკავშირმა დამატებით 180 მილიონი ევრო გამოყო დემოკრატიული განვითარების, კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ვაჭრობისა და ინვესტიციების, მარეგულირებელი რეფორმის, რეგიონული განვითარების, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების, სიღარიბის დასაძლევად და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მხარდასაჭერად.

როგორც „ალიას“ ინკოგნიტო მაღალჩინოსანი უმტკიცებს, გასარკვევია, სად წავიდა ჯერ 500 მილიონი ევრო, შემდეგ კი – 180 მილიონი. სხვათა შორის, ძალიან იშვიათია საქართველოში მოღვაწე უცხოელი დიპლომატი, პოლიტიკოსი ან არასამთავრობოს ხელმძღვანელი, რომელიც „ნაციონალებს“ არ ჰყავთ მოსყიდული:

„შეგვიძლია, ასევე ვილაპარაკოთ ლუის ნავაროზე, „ენდიაის“ ხელმძღვანელზე, რომელიც წლების განმავლობაში არის მიბმული პირდაპირ გიგა ბოკერიაზე და ყოველწლიურად იღებს მილიონ დოლარს. ბოკერიას შავი ფული თავზე საყრელად ჰქონდა... ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ თქვა, ძალიან დიდი თანხებია „ქეშად“ გაცემულიო. ჰოდა, ნავაროსაც ქეშად აძლევდნენ და დღესაც აძლევენ. ნავარო მიშა სააკაშვილზე გავიდა დიმიტრი შაშკინის საშუალებით და გამოკითხვის შედეგებს, სანამ გამოქვეყნდებოდა, მას აწვდიდა. გამოკითხვის შედეგებზე პასუხისმგებელი იყო ბაჩო ახალაია, შავი მასალები მიჰქონდათ მოდულის შენობაში, ნავაროც მიდიოდა და იქ გადიოდნენ, საბოლოოდ რა სახით გამოექვეყნებინათ. ამ შეკრებებს ასევე ესწრებოდა ხოლმე ზურაბ ადეიშვილი. ამჟამად ლუის ნავარო ისევ „ნაციონალებზეა“ მიბმული, რადგან ახალ ხელისუფლებასთან ვერ გამოძებნა ფულის საკეთებელი ხვრელები“.

ესეც თქვენი პატიოსანი ევროპა და „წმინდანი“ ამერიკა... ერთის წარმომადგენლებიც ლექციებს გვიკითხავენ მორალზე და მეორის წარმომადგენლებიც. სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა ამერიკის ყოფილი ელჩის, ჯონ ბასის მოსაზრება ლუის ნავაროს შესახებ. როგორც იცით, მან ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა წერილი, სადაც მიხეილ სააკაშვილს ავადმყოფს უწოდებს და დეტალურად ყვება, თუ რა მოხდა, როცა 18 ელჩთან ერთად ბიძინა ივანიშვილს ბიზნესცენტრში ეწვია:

„პაციენტის (გულისხმობს სააკაშვილს. – გ.ზ.) განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვია ჩემმა ვიზიტმა (დანარჩენ 18 ელჩთან ერთად) ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში. მართალია, მე არ გამიპროტესტებია იქ პაციენტის პირადი ემისრის - ლუის ნავაროს ყოფნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, როგორც მანამდეც, ამჯერადაც სანაქებოდ შეასრულა ენის მიმტანის ფუნქცია. ზოგადად, ამ სუბიექტზე ადრეც შემიტყობინებია, - ნავარო ისეთი გულუხვობით უწერს სოციოლოგიურ გამოკვლევებში სააკაშვილს გაზრდილ მონაცემებს, რომ პაციენტმა სრულიად ირწმუნა ეს პროცენტები და ხელისუფლების დატოვებას აღარ აპირებს. მისი ვერსიით, ძალაუფლების ერთი ხელიდან მეორეში გადატანაც კი „ხელისუფლების დემოკრატიულად გადაცემა იქნება“.

რაკი პროცესებზე ზემოქმედება ჩემი მხრიდან შეუძლებელი ხდება, გთხოვთ განიხილოთ პაციენტის ვაშინგტონში, გაფართოებულ კონსილიუმზე ტრანსპორტირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის შემდგომ მდგომარეობასა და კავკასიაში ჩვენი ნაციონალური ინტერესების განხორციელებაზე პასუხისმგებლობას სრულიად ვიხსნი“.

ეს წერილი გამოქვეყნდა როგორც „ვიკილიკსის“ მიერ გავრცელებული და არ არის გამორიცხული, ვიღაცების ხელიც ერიოს, მაგრამ ლუის ნავაროს რომ სახელი აქვს გატეხილი საქართველოში, ამას ქართველი ექსპერტებიც ადასტურებენ. მაგალითად, კახი კახიშვილი ნავაროს პოლიტიკურად მოტივირებულ ადამიანს უწოდებს და აცხადებს, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ სიმპათიებს ვერ მალავს:

„ეს ორგანიზაცია საქართველოში დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ძალიან სერიოზულად იყო აცდენილი 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგები იმ კვლევებთან, რაც მათ დადეს. მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა „ენდიაის“ სათავო ოფისის მიმართ, მე ვთვლი, რომ ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში, ბატონი ლუის ნავარო არის პოლიტიკურად მოტივირებული ადამიანი. საკუთარი მოღვაწეობის პერიოდში ნავარო ყველანაირ მხარდაჭერას უცხადებდა „ნაცმოძრაობას“ და პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდა“.

კი, მაგრამ რატომ უნდა შეასრულოს ამერიკულმა ორგანიზაციამ „ნაცმოძრაობის“ დაკვეთა? იმიტომ, რომ ისევ მივდივართ იმ სიბინძურესთან, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ... ლუის ნავარო პირდაპირ არის მიბმული გიგა ბოკერიას ჯიბეზე და ასე იქნება მანამ, სანამ მის საქმეს არ გამოიძიებენ, ან კიდევ საერთოდ არ გააძევებენ საქართველოდან.

**მეორე წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ და რომელმაც ჩორგოლეიშვილი გააკაპასა გასულ კვირას დაიბეჭდა.**


ალია
რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge
ექსკლუზივი
რას მოითხოვს და რისთვის აშანტაჟებს გიგა ბოკერია ევროკავშირის ელჩს, ფილიპ დიმიტროვს?!

## რას მოითხოვს და რისთვის აშანტაჟებს გიგა ბოკერია ევროკავშირის ელჩს, ფილიპ დიმიტროვს?!

„ალია“ „ნაციონალების“ მიერ გადაბირებული გავლენიანი უცხოელების შესახებ ჯერ კიდევ 2013 წლის დეკემბერში წერდა. მაშინ საუბარი იყო ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელზე საქართველოში, ფილიპ დიმიტროვზე, რომელიც ხელიდან არასოდეს უშვებს მომენტს, ჭკუაზე არ დაგვარიგოს... ის ყოველთვის შეგვახსენებს, რომ გეიქორწინების ლეგალიზებას არავინ გვაძალებს, მაგრამ ევროკავშირში მოსახვედრად ამას მაინც ვერ ავცდებით და უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს დანაშაული არ არის. სწორედ ამ განცხადების შემდეგ იყო, რომ „ალიას“ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი დაუკავშირდა და განუცხადა, დიმიტროვი თავად არის ჰომოსექსუალი და მას შემდეგ, რაც „ნაციონალებმა“, თავის დროზე, ფარულად გადაუღეს ვიდეო, მთლიანად აკონტროლებენ და მეტიც, გიგა ბოკერია თავის ჭკუაზე ატრიალებსო. ფაქტია, ფილიპ დიმიტროვი ყოველთვის ესარჩლება „ნაციონალებს“ და ის აშკარად გამოექომაგა გიგი უგულავასაც, როდესაც თბილისის მერის თანამდებობიდან გამოაბუნძულეს. დიმიტროვის თქმით, არჩეული მერის გადაყენების ფაქტი შესასწავლია, ეს მხოლოდ იმპიჩმენტის პროცედურით უნდა მომხდარიყო.

როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ევროკავშირის ელჩი თავის სეხნია ლეფორის განცხადებასაც გამოეხმაურა (ცხინვალში ჩასულმა ლეფორმა განაცხადა, ქართველები ამ რეგიონის დაკარგვას უნდა შეეგუოთ, სამხრეთ ოსეთის სტატუსი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი, რესპუბლიკის ხალხის მიერ დიდი ხანია განსაზღვრულიაო) და პირიც მოსწმინდა:

„ეს იყო მეგობრული სადილი. რა თქმა უნდა, მოხდა ამ თემის კომენტირება. იყო საუბარი იმაზე, როგორ ხდება ადამიანების ფრაზების არასწორი გაგება. რა თქმა უნდა, ყველას გვესმის, რომ ლეფორს არაფერი უთქვამს იმ მიმართულებით, როგორც ეს ზოგიერთმა სააგენტომ გაავრცელა“.

ეს კიდევ არაფერი, იგივე ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, ამჯერად „ნაცების მიერ დაშანტაჟებულ და მათ მიერ კონტროლირებად ფილიპ დიმიტროვს გიგა ბოკერია კიდევ ერთხელ დამუქრებია, ვანო მერაბიშვილის მიერ გადაღებულ პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეომასალებს გამოგიქვეყნებთ, თუკი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არ დაგვეხმარებიო. არადა, თურმე „ნაციონალებს“ მართლაც აქვთ ვიდეოფირები, სადაც კარგად ჩანს დიმიტროვის ვნებები. ბუნებრივია, თუ ბოკერიებმა თავზე ხელი აიღეს და ყველაფერი გამოაქვეყნეს, ეს არა მხოლოდ ელჩის დისკრედიტაციას გამოიწვევს, არამედ მის გაქრობასაც. ბოკერიამ დიმიტროვს მოსთხოვა, რომ ევროპიდან ვანო მერაბიშვილისა „ნაციონალების“ სხვა გახმაურებულ სასამართლოებზე ევროპიდან ჩამოყვანოს ისეთი დამკვირვებლები, რომლებიც შემდეგ დიმიტროვის კარნახით დაწერენ უარყოფით დასკვნებს. თურმე გიგა ბოკერია ასევე აიძულებს დიმიტროვს, თვითმმართველობის მომავალ არჩევნებზე ჩამოიყვანოს ისეთი დამკვირვებლები, რომლებიც დაწერენ ასევე კრიტიკულ დასკვნებს. ვანოს მიერ გადაღებული კადრებიდან გამომდინარე, დიმიტროვი მუდმივი შანტაჟის ქვეშ იმყოფება და ხმას ვერ იღებს, ის იძულებით ასრულებს „ნაციონალების“ დავალებებს.

ვის სჭირდება ევროკავშირის წარმომადგენლობის ისეთი ელჩი, რომელსაც მუდმივად აშანტაჟებენ და საეჭვო ცხოვრებით ცხოვრობს? ვის სჭირდება ისეთი ელჩი, რომელიც ქართველ საზოგადოებას მოუწოდებს, თქვენ ბევრი ისეთი გამოწვევა გექნებათ იმ ადამიანებისგან, რომლებიც განსაკუთრებით საუბრობენ ქართულ ტრადიციებზე, ქართულ სტანდარტებზე, იმაზე, რამდენად გარყვნილია ევროპაო:

„იმისთვის, რომ მოხდეს ვიზის ლიბერალიზაციის გამარტივების შეთანხმება, თქვენ უნდა გქონდეთ რამდენიმე ნათლად გამოკვეთილი საკითხი. მათ შორის ერთ-ერთია შემდეგი – არ უნდა იყოს ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომლებიც სხვებზე ახდენენ ზეწოლას, იმის გამო, რომ მათ აქვთ განსხვავებული რელიგია, განსხვავებული გემოვნება, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები. არ უნდა იყოს ისე, რომ ადამიანებს ამის გამო ქვეყნის დატოვება მოუხდეთ“.

დაუკვირდით, ფილიპ დიმიტროვი ზუსტად ისე აზროვნებს, როგორც გიგა ბოკერია: ესე იგი, თურმე საქართველოში არსებობს ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელიც ზეწოლას ახდენს განსხვავებულ რელიგიაზე, განსხვავებულ გემოვნებაზე (აქ ჰომოსექსუალიზმი იგულისხმება) და განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებზე. ეს უკვე არა მხოლოდ ქვეყნის საშინაო საქმეების განგებ არევაა, არამედ „ნაციონალების“ აშკარა მხარდაჭერაც.

რაღა დაგიმალოთ და... დიმიტროვმა ადვოკატ გოგა ონიანის დაკავების თემაზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ არჩევნების წინ ოპოზიციის წარმომადგენლის დაკავება გარკვეულ კითხვებს ბადებს:

„მე პოლიტიკური პარტიების განცხადებებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, მაგრამ ყოველთვის, როცა არჩევნების წინ ოპოზიციის წარმომადგენლებს პასუხისგებაში აძლევენ, ჩვენ გვაქვს ეჭვები და შეკითხვები. კარგი იქნება, რომ ყველა მსგავს საქმეში საერთაშორისო დამკვირვებლები იყვნენ ჩართული“.

ისე, ძალიან მაგარია ჩვენი ჭკუაზე დამრიგებლების ლოგიკა: არჩევნების წინ დამნაშავეს ხელი არ უნდა ახლონ სამართალდამცავებმა, თუკი ის „ნაციონალია“ (სხვა პარტიების წევრობა არ ითვლება), თურმე ეს ეჭვებსა და შეკითხვებს ბადებს და მეტიც, ამ შემთხვევაში საქმეში უნდა ჩაერთოს რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი. აი, სწორედ ამაზე იყო საუბარი ცოტა ზემოთ, გიგა ბოკერია ფილიპ დიმიტროვს სთხოვს, რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი ჩართოს დამნაშავე „ნაციონალების“ სასამართლო პროცესებში და, თავის მხრივ, დიმიტროვიც ამას დაჟინებით ითხოვს. ვიმეორებ: ვის რაში სჭირდება ევროკავშირის ელჩი, რომელიც „ნაციონალების“ მძევალია? არავის!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**რედ: ეს არის მასალები, რომელთა გამოც ბოკერიას მეუღლემ ლამის სკანდალი მოაწყო. ვნახოთ, ამის შემდეგ რას დაიხვევს ხელზე მორიგი სკანდალის ასაგორებლად.**

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. თვითმფრინავის გამყოლი
2. მსახიობი ანტონიო …
3. ანტიკ. საბერძნ. ალექსანდრე …
4. ღვინის დეგუსტატორი
5. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
6. საერთაშორისო ორგანიზაცია
7. მწყემსების ცხოვრების ასახვა
8. მომღერალი … ჯაგერი
9. ძველი ფილმების ჩვენება
10. მაღალბიუჯეტიანი ფილმი
11. ჭრილობა
12. უნივერსიტეტი ინგლისში
13. თევზი ელექტრ. მუხტით
14. კვამლი
15. სახელმწ. აზიაში
16. მოგზაური მარკო …
17. რეჟისორი … უელსი
18. რუსული ესტრადის მომღერალი
19. ათოსი, არამისი და …
20. მსახიობი … ლეტო
21. ქიმიური ჭურჭელი
22. ღვინის ღმერთი
23. მსახიობი … ბელუჩი
24. მსახიობი … ნიუმენი
25. იტალიური მაკარონი
26. „შვიდი ძმის შვიდი …“
27. ყაზახეთის დედაქალაქი
28. სანთლის ძაფი
29. შინაური ფრინველი
30. თვალის დაავადება
31. წამლებით გამოწვეული ძილი
32. საყურე წარბზე
33. მხ/ფ „… ვოლოდიევსკი“
34. ქალაქი კლდეში გორთან
35. მსახიობი ჯიმ …
36. ნაწილაკი ატომის ბირთვში
37. სხეულის ნაწილი
38. ორგანო მუცლის ღრუში
39. მსახიობი კარლო …
40. მსახიობი … ფერტი
41. ნიუიორკის რაიონი
42. სახის მოვლის საშუალებები
43. მსახიობი … ვარდალოსი
44. … და სანახაობა
45. ქონდრისკაცი
46. მსახ. … სიხარულიძე
47. აქლემის ნაშიერი
48. მსახიობი … ბიტი
49. ფსიქიატრი … ზურაბაშვილი
50. იაპონური თაიგული
51. მატყუარა
52. ველური ყაყაჩო
53. მსახიობი … როკი
54. მსახიობი … ჟირარდო
55. მეტამორფოზის ბოლო სტადია
56. ნაკლი, ზადი
57. ოსური ცეკვა
58. რგოლებიანი პლანეტა
59. დიზაინერი კრისტიან …
60. მეთილის, ანუ … სპირტი
61. კომპოზიტორი ნინო …
62. ფიზიკაში: … სიცარიელე
63. გეომეტრიული ფიგურა
64. იაპონური მულტიპლიკაცია
65. ვიოლინოს ჯოხი
66. სინთეზური ქსოვილი
67. შვედური საესტრადო ანსამბლი
68. მხ/ფ „… და გოგია“
69. მწვერვალი კავკასიონზე
70. მისალოცი სიტყვა
71. გადამყიდველი ძველად
72. მით. ქალი ჯადოსნ. ხმით
73. საზაფხულო დასვენება სკოლაში
74. ბიჭუნა ჰიუგოს მოთხრობაში
75. აბელის მკვლელი
76. მაგიდის ჩოგბურთი
77. თვითნასწავლი მხატვრობა
78. იტალიური ავტომობილი
79. ყვავილი
80. ნაჭრის ჩანთა
81. მთაში გაყვანილი კომუნიკაცია
82. საყოფაცხოვრებო ნარჩენი
83. ფრანსუა რაბლეს მსუქანი გმირი
84. ბერძნული ცეკვა
85. მხ/ფ „… დაუტფაიერი“
86. მოწაფე გეიშა
87. მწერალი დენი …
88. ოტელოს ეროვნება
89. პიესა „რევიზორი“ ავტორი
90. ხემიანი ინსტრუმენტი
91. ფიზიკოსი … ნიუტონი
92. მწერალი სომერსეტ …
93. „… ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“
94. ანტი-ნოპას სახეობა
95. მეკობრე
96. უბრალო, ერთფერი
97. მუხის ნაყოფი
98. „… ჭკუისაგან“
99. პოპკორნი
100. პოეტი … ბარტო
101. მომღერალი … ბურჭულაძე
102. გოლკიპერი
103. დროშა
104. კედლის მანდალი
105. უნგრელი კომპოზიტორი
106. ინდიელების ვარცხნილობა
107. ფილოსოფოსი ემანუილ …
108. სომხეთის დედაქალაქი
109. მომღერალი … კალასი
110. მსახიობი ჟერარ …
111. მეჭეჭებიანი ბაყაყი
112. კომპოზიტორი … ყანჩელი
113. ამერიკელებ. მეტსახელ. მექსიკაში
114. სტალინის დედა
115. საფარიკაო იარაღი
116. გამის ნოტი
117. უანგარო შრომა
118. ესპანელი დიდებული
119. მთათა სისტემა …-შანი
120. ნიშნავს ჩირქოვანს
121. კონტინენტი
122. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
123. წონის ძველებური ქართ. ერთეული
124. ვულკანი სიცილიაზე
125. ხევი, რომელშიც მდინარე მიედინება
126. ადამის მეუღლე
127. ფუტკრების სახლი
128. სანჩო …
129. მოდელი … კროუფორდი
130. ვირას საპირისპირო ბრძანება
131. მსახიობი … პაჩინო
132. გამხმარი ხილი
133. დიდი ჩაქუჩი
134. მსახიობი … კერტისი
135. ხერხემლის ძვალი
136. ქალაქი დას. საქართ.
137. საბაჟო აჭარაში
138. ბავშვის საჭმელი
139. ნაცია
140. კონტინენტი
141. მწერალი ლუიჯი …
142. ცისარტყელას ფერი
143. რძის პროდუქტი

პასუხები: 1. სტიუარდესა; 2. ბანდერასი; 3. მაკედონელი; 4. სომელიე; 5. ნაგომარი; 6. იუნესკო; 7. პასპორტი; 8. მიკ; 9. რეტროსპექტივა; 10. ბლოკბასტერი; 11. იარა; 12. კემბრიჯი; 13. სკატი; 14. ბოლი; 15. იორდანია; 16. პოლო; 17. ორსონ; 18. ალსუ; 19. პორთოსი; 20. ჯარედ; 21. კოლბა; 22. დიონისე; 23. მონიკა; 24. პოლ; 25. სპაგეტი; 26. საცოლე; 27. ასტანა; 28. პატრუქი; 29. ციცარი; 30. გლაუკომა; 31. ნარკოზი; 32. პირსინგი; 33. პან; 34. უფლისციხე; 35. კერი; 36. ნეიტრონი; 37. თავი; 38. ელენთა; 39. საკანდელიძე; 40. კოლინ; 41. ბრუკლინი; 42. კოსმეტიკა; 43. ნია; 44. პური; 45. ჯუჯა; 46. გივი; 47. კოზაკი; 48. უორენ; 49. ავლიპი; 50. იკებანა; 51. ცრუ; 52. იორდასალამი; 53. მარიკა; 54. ანი; 55. იმაგო; 56. ხინჯი; 57. სიმდი; 58. სატურნი; 59. დიორი; 60. ხის; 61. როტა; 62. ტორიჩელის; 63. რომბი; 64. ანიმე; 65. ხემი; 66. ნეილონი; 67. „აბბა“; 68. ხარება; 69. შხარა; 70. ადრესი; 71. ჩარჩი; 72. სირინოზი; 73. არდადეგები; 74. გავროში; 75. კაენი; 76. პინგ-პონგი; 77. ნაივი; 78. „ფერარი“; 79. ვარდი; 80. აბგა; 81. გვირაბი; 82. ნაგავი; 83. გარგანტუა; 84. სირტაკი; 85. მისის; 86. მაიკო; 87. დიდრო; 88. მავრი; 89. გოგოლი; 90. ვიოლინო; 91. ისააკ; 92. მოემი; 93. სოლომონ; 94. კანა; 95. პირატი; 96. სადა; 97. რკო; 98. ვაი; 99. ბატიბუტი; 100. აგნია; 101. პაატა; 102. მეკარე; 103. ალამი; 104. ბრა; 105. ლისტი; 106. იროკეზი; 107. კანტი; 108. ერევანი; 109. მარია; 110. ფილიპი; 111. გომბეშო; 112. გია; 113. გრინგო; 114. კეკე; 115. რაპირა; 116. ფა; 117. ამაგი; 118. გრანდი; 119. ტიან; 120. პიო; 121. ამერიკა; 122. სალიერი; 123. ოყა; 124. ეტნა; 125. კალაპოტი; 126. ევა; 127. სკა; 128. პანსა; 129. სინდი; 130. მაინა; 131. ალ; 132. ჩირი; 133. ურო; 134. ტონი; 135. მალა; 136. ზესტაფონი; 137. სარფი; 138. ფაფა; 139. ერი; 140. აზია; 141. პირანდელო; 142. იისფერი; 143. დო. იკითხება: ალენ დელონი.

# ყველაზე საინტერესო ფაქტები



– კელნის ერთ-ერთ შოსეზე ძალიან უცნაური საგზაო ნიშანი დგას: გედების გადასასვლელი. ვინ ან რატომ დაკიდა ასეთი საგზაო ნიშანი, არავინ იცის, თუმცა არც მის მოხსნაზე ზრუნავს ვინმე.

– იმისთვის, რათა ავტომობილების მძღოლებმა თავი დაანებონ მარტო მგზავრობას და მეზობლები ან ახლობლები გაიყოლონ, რომლებსაც დანიშნულების ადგილამდე ერთი გზა აქვთ გასავლელი, ინგლისის თითქმის ყველა ქალაქში მგზავრიანი მანქანებისთვის ცალკე ზოლი გამოიყო. მიზანი: საწვავისა და გზებზე ადგილების ეკონომიაა.



– საგზაო წესების ყველაზე მხცოვანი დამრღვევი 102 წლისაა და ამერიკაში ცხოვრობს. ვინაობა რატომღაც, არ ზუსტდება, თუმცა ცნობილია, რომ მძღოლს პოლიციამ ყურადღება მას შემდეგ მიაქცია, რაც შეამჩნია, რომ მანქანა ყოველდღე მაქსიმუმ 35 კილომეტრ/საათი სიჩქარით მოძრაობდა და პარკირების წესებს არ იცავდა. თავის გასამართლებლად მძღოლმა თქვა, რომ ასაკის გამო, მას ძალიან უჭირს ფეხით სიარული და იძულებულია, ავტობუსის გაჩერებამდე მანქანით მივიდეს.

– ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში ყოველთვიურად დაახლოებით 20 ავარია ხდება... სპილოების მიზეზით. საერთოდ, ბანგკოკის ქუჩებში ყოველდღიურად დაახლოებით 1600 სპილო სეირნობს.



– იაპონიაში სიძე-პატარძალი შეუღლებისას 9 ყლუპ საკეს სვამს. იქაურები მიიჩნევენ, რომ სწორედ საკეს დალევის შემდეგ ხდებიან ადამიანები ოფიციალური მეუღლეები.

– საბერძნეთის ზოგიერთ რეგიონში დღემდეა შემორჩენილი ტრადიცია, რომლის მიხედვითაც სიძე-პატარძლის საწოლი განსაკუთრებული წესების დაცვით მზადდება: სანამ ისინი დაწვებიან, საწოლზე ბავშვებმა უნდა ირბინონ, რათა ახლად შექმნილ ოჯახს ბედნიერება და იდილია მოუტანონ.

– აფრიკის არაერთ ტომში პატარძლის საქორწინო კაბა აუცილებლად ოთხი ფერისგან უნდა შედგებოდეს, რასაც სიმბოლური დატვირთვა აქვს. შავი ფერი ჩრდილოეთის სიმბოლოა, ცისფერი - სამხრეთის, სტაფილოსფერი - დასავლეთის და თეთრი - აღმოსავლეთის. ცერემონიის დროს წყვილი სახით აღმოსავლეთისკენაა მიბრუნებული, იმ მხარეს, საიდანაც მზე ამოდის, რაც ახალი ცხოვრების დაწყების სიმბოლოდ მიიჩნევა.

– ინგლისელმა პატარძალმა ეკლესიის უძველესი სკვრის მძიმე სახურავი ცალი ხელით უნდა აწიოს, რათა ახალმა ნათესავებმა მისი ამტანობა შეამოწმონ.

– ნიგერიაში სიძე ვალდებულია, გაიაროს მომავალი მეუღლის ჯოხებით შეიარაღებული ნათესავების მწკრივში. ამ თითოეული ადამიანი სასიძოს ჯოხს მთელი ძალით ურტყამს, რათა შემოწმდეს, რამდენად მზად არის ის, გაუძლოს ოჯახურ სირთულეებს. თუკი სიძე საავადმყოფოს გადაურჩა, სადისტური რიტუალის შემდეგ ყველა გემრიელად ქეიფობს.

– ჩეჩნეთში საქორწილო სუფრები მამაკაცებისთვის და ქალებისთვის ცალ-ცალკე იშლება. სახედაფარული პატარძალი მთელი დღე კუთხეში დგას. სტუმრები, ვისაც მილოცვა სურს, მას წყალს სთხოვენ, რაც მაშინვე უნდა შესრულდეს. სტუმრები მხოლოდ ერთ ყლუპს სვამენ და პატარძალს ჭიქაში ფულს უყრიან.

– ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლები უკვე თითქმის 99 წელია, რაც სუფთა ოქროსგან აღარ მზადდება და მხოლოდ მოოქროვილია. სუფთა ოქროთი ოლიმპიური მედლები 1912 წლამდე მზადდებოდა, დღეს კი მის შესაქმნელად ვერცხლს იყენებენ და ზედაპირზე ოქროს უთხელეს ფენას ადებენ.

– პირველ განახლებულ ოლიმპიურ თამაშებზე (1896 წელი ათენი) მთავარი პრიზი ვერცხლის, მეორე ადგილისთვის კი - ბრინჯაოს მედლები იყო. მესამე ადგილოსანი არაფერს იღებდა, სიგელსაც კი.

– 1900 წელს საფრნაგეთის ოლიმპიურ თამაშებზე მედლები საერთოდაც არ ყოფილა და გამარჯვებულებს ნახატებით აჯილდოვებდნენ. საერთოდაც, მედლების გადაცემა ოფიციალურად 1904 წლიდან დაკანონდა, მანამდე ყველა მასპინძელი ქვეყანა საკითხს საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტდა.

– 1908 წელს ოლიმპიურ თამაშებს ლონდონი მასპინძლობდა, თანაც საკმაოზე ბევრად დიდხანს. სპორტული ღონისძიება აპრილში დაიწყო და მხოლოდ ოქტომბერში დასრულდა. როგორც ჩანს, ლონდონური წვიმები ორგანიზატორებს შეჯიბრებების ჩატარების საშუალებას არ აძლევდა.

– 1 კილოგრამი თაფლის მისაღებად, ფუტკარი სკიდან დაახლოებით 4500-ჯერ უნდა გაფრინდეს და 6-10 მილიონი ყვავილის ნექტარი მოიპოვოს. ფუტკრების ერთ ძლიერ ოჯახს დღეში 5-10 კილო თაფლის მოპოვება შეუძლია.

– ფუტკარს სკიდან დაახლოებით 8 კილომეტრის მოშორებით გაფრენა და უკან უპრობლემოდ დაბრუნება შეუძლია.

– ყველაზე სწრაფად ფრჩხილი შუა თითზე იზრდება. დაფიქსირებულია ისიც, რომ რაც უფრო გრძელია თითი, მით უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ფრჩხილის ზრდის პროცესი.



– ადამიანის სისხლ-ძარღვების საერთო სიგრძე დაახლოებით 100 ათასი კილომეტრია.

– ღვიძლი ადამიანის ორგანიზმის ერთ-ერთი ყველაზე რთული და დატვირთული ორგანოა. მისი ფუნქციების რაოდენობა რამდენიმე ასეულია. მაგალითად, ნაღვლის გამომუშავება, ერიტროციტების უტილიზაცია, პროტეინების სინთეზი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

***uralweb.ru***

## ჩინელმა სწავლულებმა „ჭკვიანი“ ქსოვილი შექმნეს



საუბარია ქსოვილზე, რომელიც ადამიანის სხეულამდე არც ჰარს ატარებს, არც წყალს და რაც მთავარია, არც მზის სხივებს.

ასეთი შედეგის მიღება ჩინელმა მეცნიერებმა ნანოსაფარის დახმარებით შეძლეს, რომელიც აბრეშუმზეა დატანილი.

მთავარი მასალა, რომელიც ქსოვილის წარმოებისთვის გამოიყენება, თუთიის ოქსიდია. იგი ბლოკავს ულტრაიისფერ სხივებს, დამატებითი სილიკონის ზედაპირი კი ქსოვილს წყალგაუმტარსაც ხდის.

მიღწევის ავტორების განმარტებით, მათ გამოგონებაში ლოტოსის ფოთლის სტრუქტურაა გამოყენებული, მცენარის, რომელიც ცნობილია თავისი განსაკუთრებული წყალგაუმტარი თვისებებით.

აღსანიშნავია, რომ ჩინელების ეს ახალი ქსოვილი დღეისთვის არსებულ ნებისმიერ საშუალებას, რომელიც ულტრაიისფერი დასხივების დაცვისთვის გამოიყენება, ორჯერ აღემატება. კერძოდ: 101,5 50-ის წინააღმდეგ. ამასთანავე, ნანოზედაპირის გამოყენება ხანგრძლივი დროით შეიძლება, რაც აქამდე საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამდენად, ქსოვილისგან ტანსაცმლის წარმოებაც პრობლემა აღარ უნდა იყოს.

***meganauka.com***

## ამიერიდან პილოტები თვითმფრინავებს ნებისმიერ ამინდში დასვამენ



ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ ცუდი ამინდი ბევრჯერ გამხდარა ავიაკატასტროფების მიზეზი. ამდენად, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ამერიკული აეროკოსმოსური კომპანია „ჰანიველის“ მიერ შექმნილი ტექნოლოგია, რომელიც პილოტს საშუალებას მისცემს, თვითმფრინავი ნებისმიერ კლიმატურ პირობებში აეროპორტში გართულებების გარეშე დასვას. გარდა ამისა, ახალი სისტემა საშუალებას იძლევა, არ შეფერხდეს არც რეისები, რადგან პილოტებს ის უშუალოდ ფრენის დროსაც დაეხმარება.

ამ მნიშვნელოვანი სიახლის ავტორთა განმარტებით, სისტემა ინფრაწითელი სენსორებით მუშაობს, რომელიც თვითმფრინავის წინა ნაწილში მონტაჟდება და ყველაზე სქელ ნისლშიც კი სივრცეს შესანიშნავად აღიქვამს და მთელ ინფორმაციას პილოტებს აწვდის. გარდა ამისა, დაშვების დროს სისტემა კონცენტრირებულია მხოლოდ აეროპორტის ასაფრენ ზოლებზე, რაც უსაფრთხოების ზომებს კიდევ უფრო აძლიერებს.

ჯერჯერობით სისტემა კვლავ ტესტის რეჟიმშია, თუმცა მისი გამოყენება უკვე უახლოეს მომავალში დაიწყება.

***best.stroitelstvo.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ქალი ქუჩაში მშობიარობს. კაციშვილი არ ჩანს. ძლივს კოტე გამოჩნდა.

– მიშველეთ, ძალიან გთხოვთ!

– როგორ?

– ბავშვი თავით გამოქაჩეთ!

– მოიცა... აი... მორჩა, გამოვიყვანე.

– ახლა ფეხებით დაიჭირეთ და ტაკოზე მოარტყით.

კოტემ, სიკეთეს ვაკეთებ და ბარემ ბავშვს ჭკუასაც დავარიგებო:

– ესეც შენ! მეორედ მანდ შემძვრალი აღარ დაგინახო, თორემ უფრო მაგრად მოგხვდება!!!

*****



სექსშოპში გვარიანად მოხუცებული მამაკაცი შევიდა და გამყიდველს მიმართა:

– შვილო, ძალიან უკმაყოფილო ვარ ჩემი სექსუალური ცხოვრებით და მეორე მსოფლიო ომის შედეგებით... გასაბერი ჰიტლერი არ გაქვთ?..

*****

ქალი:

– რა ხდება შენს პირად ფრონტზე?

მამაკაცი:

– ბევრი შენიანი დაეცა...

*****

8 მარტი.

ქმარი წამოწოლილია და გაზეთს კითხულობს, ცოლი კი სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავს. უცბად ქმარს გაახსენდა, რომ სარვამარტოდ ცოლისთვის საჩუქარი არ უყიდია. იფიქრა, იფიქრა და გასძახა:

– საყვარელო, 8 მარტია დღეს, დაანებე ჭურჭლის რეცხვას თავი... ხვალ გარეცხავ...

*****

ახლომხედველობის მქონე ჯალათი სიკვდილმისჯილს:

– კაცურად, ერთი დაუსტვინე რა, ცუდად ვხედავ...

*****

– ალო, უშიშროების ანონიმური ნდობის ტელეფონია?

– დიახ, ბატონო კონსტანტინე, გისმენთ...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეგობრები: დოდო, ნელი, ნუნუ, დაჯი, ეთერი, მანანა თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ მადონა მგელაძეს, შვილის

**დათო კარტოზიას**

გარდაცვალების გამო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## რადარიანი კლავიატურა თქვენი ინფორმაციის სადარაჯოზე



ინფორმაციის დაცვის ძალიან ბევრი მექანიზმი არსებობს, ყველაზე უბრალო კი კომპიუტერზე პაროლის დაყენებაა. ერთი კია, ბევრს ავიწყდება, ან ეზარება ხოლმე, რამდენჯერაც სამუშაო მაგიდას დროებით ტოვებს, კომპიუტერს პაროლი იმდენჯერ დაადოს. ჰოდა, სწორედ ასეთი გულმავიწყებისთვის შექმნეს კლავიატურა, რომელიც ინფორმაციას მაქსიმალურად მოუფრთხილდება.

კლავიატურაში სპეციალური რადარია ჩამონტაჟებული, რომელიც ავტომატურად ადგენს, ზის თუ არა ვინმე კომპიუტერის წინ.

როგორც კი ადამიანი სამუშაო მაგიდიდან ადგება, კლავიატურა სისტემას მაშინვე ბლოკავს, რომლის ჩართვაც მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, რაც პატრონი პაროლს შეიყვანს. ამასთანავე, პაროლი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ასოების ან ციფრების კომბინაცია, არამედ თითის ანაბეჭდიც.

როდის დაიწყება ახალი კლავიატურის გაყიდვები, სამწუხაროდ, არ ზუსტდება.

***ugrozenet.ru***

## კიბოს უჯრედებს ინტელექტი აღმოაჩნდა



რაც საშიში და სახიფათოა, მას განსაკუთრებული ძალა აქვს. ასეა კიბოს შემთხვევაშიც, რომლის შესახებაც ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მილიონობით ადამიანის მმუსვრელ დაავადებას ერთგვარი ინტელექტი და ინსტინქტი ჰქონია.

საუბარია იმის შესახებ, რომ კიბოს უჯრედებს სწორედ ამ ერთგვარი ინსტინქტის დახმარებით შეუძლია იმ ადგილებში კვლავ დაბრუნება, სადაც გარკვეული პერიოდის წინ სიმსივნე ქირურგიული მეთოდით სრულად განადგურდა.

ამ ძალიან უსიამოვნო აღმოჩენის შემდეგ, სპეციალისტების მთავარი მიზანია, შეიმუშაონ მეთოდიკა, რომელიც კიბოს უჯრედების ძველ ადგილზე აღმოცენებას ხელს შეუშლის.

საინტერესოა, რომ წარსულში არსებული ინფორმაციის თანახმად, სიმსივნის კონკრეტული ორგანოდან მოკვეთის შემდეგ, კიბოს უჯრედები ორგანიზმში „ხეტიალობდნენ“ და დაავადების ახალ კერებს აჩენდნენ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***gran-med.ru***

**ვაკანსიები!!!**

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს. ანაზღაურება 800 ლარი.

ასევე, გამოცდილ ჟურნალისტებს.

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

***ვერძი 21.03-21.04***

**11 მარტი:** შეიძლება შთაგონება გეწვიოთ. მზად იყავით ამისთვის, რადგან ცნობილია, რომ ის ან მოულოდნელად მოდის, ან უხერხულ მომენტში.

***კურო 22.04-21.05***

**11 მარტი:** თქვენი მახვილსიტყვაობით დღეს წარმატებას ვერ მიაღწევთ. უშნოდ არ იხუმროთ, შეიძლება სერიოზული პრობლემები შეგექმნათ.

***ტყუპები 22.05-21.06***

**11 მარტი:** ვიღაცის რთულ თამაშში მნიშვნელოვანი ჭანჭიკი იქნებით. თუ ძალიან მოისურვებთ, იმ ადამიანის დაშანტაჟებას შეძლებთ, ვის მხარესაც თამაშობთ.

***კირჩხიბი 22.06-22.07***

**11 მარტი:** დღეს შეიძლება საკუთარი რესურსები არ გეყოთ და დახმარება დაგჭირდეთ. არ მოგერიდოთ, ბევრი ადამიანია მზად თქვენს დასახმარებლად.

***ლომი 23.07-22.08***

**11 მარტი:** სასიამოვნოა, როცა ახლობელს რაღაცით გაახარებ. დღეს ამის საშუალება მოგეცემათ.

***ქალწული 23.08-22.09***

**11 მარტი:** სრულიად შემთხვევით, თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ შეიძლება საკმაოდ აგრესიული გახდეთ. ფრთხილად იყავით, რამე სისულელე არ ჩაიდინოთ.

***სასწორი 23.09-22.10***

**11 მარტი:** დღეს საკუთარი მოვალეობების შესრულება ძალიან გაგიჭირდებათ, მუდმივად რაღაც შეგიშლით ხელს. შეეცადეთ, არ მოდუნდეთ.

***მორიელი 23.10-21.11***

**11 მარტი:** ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი საღამო გელით. შეეცადეთ, ამისთვის წინასწარ და საფუძვლიანად მოემზადოთ.

***მშვილდოსანი 22.11-21.12***

**11 მარტი:** სიტუაცია კარგად შეისწავლეთ, გაერკვიეთ, რა არის მასში თქვენი და თქვენი პარტნიორების როლი. გამორიცხული არ არის, ვიღაცამ მწარედ მოგატყუათ.

***თხის რქა 22.12-19.01***

**11 მარტი:** დღეს ყველაფრის შეცვლა მოგინდებათ, რის შეცვლაც კი შესაძლებელია. დაფიქრდით, ღირს კი?

***მერწყული 20.01-18.02***

**11 მარტი:** მაქსიმალურად ფრთხილად იყავით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი თქვენთვის რაიმე უცხოს გადააწყდებით. მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღებისგან თავი შეიკავეთ.

***თევზები 19.02-20.03***

**11 მარტი:** მოქმედებების დაწყების დრო მოვიდა, განმარტებების გაკეთება სხვა დროისთვის გადადეთ. ვისაც უყვარხართ, გაგიგებენ.

## შვეიცარიელმა სპეციალისტებმა სიმაღლის შიშისგან გასათავისუფლებელი აბები შექმნეს



თუკი სიმაღლის შიში ერთხელ მაინც განგიცდიათ, ისიც კარგად გემახსოვრებათ, რამდენად უსიამოვნო შეგრძნებაა და როგორი რთულია მისი გადალახვა. თუმცაღა, თუკი შვეიცარიელების მიერ შექმნილი პრეპარატი მართლაც ისეთი ეფექტურია, როგორც თავად ამბობენ, ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ფობიას ყველა სამუდამოდ დაემშვიდობება.



შვეიცარიელი ფიზიოლოგების ორგანიზებით ჩატარებულ ექსპერიმენტებში 40 მოხალისე მონაწილეობდა, რომლებიც ვირტუალურ მაღალ შენობებსა და ხიდებზე დადიოდნენ, თუმცა შეგრძნებები ზუსტად ისეთივე ჰქონდათ, როგორც რეალურ ცხოვრებაში ხდება ხოლმე.

შედეგად დადგინდა, რომ სტრესულ მდგომარეობაში, რომელსაც სიმაღლის შიში იწვევდა, მოხალისეების ორგანიზმი დიდი რაოდენობით ჰორმონ კორტიზოლს გამოიმუშავებდა. პრეპარატიც აღნიშნულის გათვალისწინებით შეიქმნა – ის სწორედ კორტიზოლის გამოყოფას უშლის ხელს.

ვირტუალურ სიმაღლეზე ხელმეორედ გასვლის შემდეგ, იმავე მოხალისეებს, რომლებიც მანამდე შიშს ვერაფრით ერეოდნენ, პრობლემები მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც მოუგვარდათ.

შეგახსენებთ, რომ სიმაღლის შიშს აკროფობია ეწოდება და ის მშვენიერი სქესის – ოთხ, ხოლო ძლიერი სქესის 5 პროცენტს სტანჯავს.

ახლა შვეიცარიელ ფიზიოლოგებს ისღა დარჩენიათ, რომ მათი პრეპარატი მაკონტროლებელმა ორგანოებმა შეამოწმონ და გაყიდვებისთვის მწვანე შუქი აუნთონ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***mndg.ru***



ფრაზები, რომლებიც უნდა თქვათ ავტოსერვისში, რათა... სამჯერ მეტი გადაგახდევინონ:

– თუ რამე არ მოგეწონება, შეგიძლია, მთლიანად შეცვალო...

– მოდი, დაგიტოვებთ მანქანას და საღამოს ცოლი მოაკითხავს...

– დაიკიდე, რემონტს მაინც სამსახური ანაზღაურებს...

– ჰო, რაღაცები მე თვითონ ვიხლაფორთე და...

– იცი, რა მითხარი? გაქვს ასეთივე „გლუშიტელი“, ოღონდ მწვანე?

...სამჯერ ნაკლები:

– მანქანა შეფისაა, პასუხს საკუთარი თავით აგებ!

– ჩვენთან, საგადასახადოში, ისეთი საშინელებები ხდება ხოლმე...

– სისხლი? სად? აა! ეს იმ ახვრისაა, რომელიც დამეჯახა!

– ამას წინათ ერთი სერვისი დავლეწეთ ძმაკაცებმა – წარმოიდგინე, კლიენტების დაგოიმებას ცდილობდნენ და მაგრად დავცხეთ!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია

»211359457

კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: ააკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 05.55